

პ. ი. ლენინი

რელიგიის  
შესახებ



სახელგაშვი  
1955

## 5 Classics of Marxism



Marx

Engels

Lenin

Stalin

Hoxha

**PROLETARIAN OF ALL COUNTRIES, UNITE!  
PROLETARIAN, UNITE THE ALL COUNTRIES!**



**MARX—ENGELS—LENIN—STALIN' INSTITUTE OF  
CENTRAL COMMITTEE OF CPSU(B)**

**STALINIST-HOXHAISTS COMMUNIST INTERNATIONAL — COMINTERN (SH)**

**GEORGIAN SECTION OF COMINTERN (SH)**

**© WORLD PROLETARIAT  
For Free Use and Distribution**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. კ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი—  
სკკპ ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის  
ინსტიტუტის ფილიალი

# პ. ი. ლენინი

რელიგიის შესახებ

სახელგაში  
1955

## წინასიტყვაობა

ამ კრებულში შედის ვ. ი. ლენინის სტატიები და გამოსვლები, რომლებშიც განსაზღვრულია პროლეტარული პარტიის ამოცანები რელიგიის მიმართ. ვ. ი. ლენინი ამ ნაწარმოებებში ყოველმხრივ ააშკარავებს რელიგიის სოციალურ ფესვებს, მის შეუთავსებლობას მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან და მიგვითითებს რელიგიურ ცრურწმენათა დაძლევის გზებს.

ვ. ი. ლენინი განმარტავს, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის პარტიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა სინდისის თავისუფლების, სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის მოთხოვნა. სახელმწიფოს მიმართ რელიგია კერძო საქმედ უნდა გამოცხადდესო, — მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი.

მაგრამ სახელმწიფოს მიმართ რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადება არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარული პარტია გულგრილად უნდა მოეკიდოს რელიგიას. ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის პარტიისათვის რელიგია არ შეიძლება კერძო საქმე იყოს. პროლეტარული პარტიის მტკიცე მეცნიერული მსოფლმხედველობა ავალდებულებს მას აწარმოოს რელიგიის წინააღმდეგ შეურიგებელი, თანმიმდევრული იდეური ბრძოლა.

«სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია კერძო საქმე არ არის. ჩვენი პარტია მუშათა კლასის

განთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუფენებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა სახით. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, რათა რელიგიურ ბურჟუსს წმინდა იდეური და მხოლოდ იდეური იარაღით, ჩვენი პრესით, ჩვენი სიტყვით ვებრძოლოთ. მაგრამ ჩვენი კავშირი, რსდმპ, სხვათა შორის, ჩვენ დავაარსეთ სწორედ მუშების ყოველგვარი სარწმუნოებრივი გაბრიყვების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლისათვის. ჩვენთვის იდეური ბრძოლა კერძო საქმე კი არა, საერთო პარტიული, საერთო პროლეტარული საქმეა» (ლენინი).

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად რელიგიის სოციალურ ფესვებს ნიადაგი გამოეცალა, მოისპო ეკლესიის დასაყრდენი ბაზა. ძირფესვიანად შეიცვალა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ადამიანის სულიერი სახე. მაგრამ საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში შემორჩა კაპიტალიზმის გადმონაშთები, რელიგიური იდეოლოგიის გადმონაშთები, ცრურწმენანი და ცრუმორწმუნოებანი, რომლებიც აფერხებენ ადამიანთა კულტურულ ზრდას, ხელს უშლიან მათს აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. ეს ცრურწმენანი გამძლეა და თავისთავად როდი ქრება, მათ წინააღმდეგ დაჟინებითი ბრძოლაა საჭირო. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით ზრდის და აწარმოებს იდეურ ბრძოლას რელიგიური იდეოლოგიის, როგორც ანტი-მეცნიერული იდეოლოგიის წინააღმდეგ. რელიგიურ ცრურწმენათა დაძლევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებშიც გამოაშკარავებულია რელიგიის ფესვები და ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები, მეტად მახვილი იარაღია რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში.

ვ. ი. ლენინი მიგვითითებს, რომ რელიგიური გადმონაშთების დაძლევა მოითხოვს სისტემატურ, მოთმინებით იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, მეცნიერული მარქსისტული მსოფლმხედველობის ფართო პროპაგანდას. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამს იმას, რომ დაუშვებელია მორწმუნეთა გრძნობების ოდნავი შეურაცხყოფაც კი, რადგან ეს მხოლოდ მათი რელიგიური ცრურწმენების განმტკიცებას იწვევს.

კრებულის მასალები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ყველა ნაწარმოები ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მიხედვით იბეჭდება.

**სკკპ ცკ-თან არსებული  
მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტი**

---

## სოციალიზმი და რელიგია

თანამედროვე საზოგადოება მთლიანად აგებულია მუშათა კლასის უდიდესი მასების ექსპლოატაციაზე მოსახლეობის სულ უმნიშვნელო უმცირესობის მიერ, რომელიც მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის. ეს საზოგადოება მონათმფლობელურია, ვინაიდან კაპიტალისათვის მთელ სიცოცხლეში მომუშავე «თავისუფალ» მუშებს «უფლება აქვთ» მხოლოდ ისეთ საარსებო საშუალებებზე, რაც აუცილებელია მოგების შემქმნელი მონების შესანახად, კაპიტალისტური მონობის უზრუნველსაყოფად და გასამარადისებლად.

მუშების ეკონომიური ჩაგვრა უცილობლად იწვევს და წარმოშობს ყოველგვარი სახის პოლიტიკურ ჩაგვრას, სოციალურ დაბეჩავებას, მასების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების გატლანქებასა და დაბნელებას. მუშებს შეუძლიათ მეტნაკლები პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვონ თავიანთი ეკონომიური განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, მაგრამ ვერავითარი თავისუფლება ვერ იხსნის მათ სიღატაკისა, უმუშევრობისა და ჩაგვრისაგან, სანამ კაპიტალის ბატონობას არ დაამხობენ. რელიგია ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს მუდამ სხევისთვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნვილ ხალხის მასებს. ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმო-

შობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას. იმას, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით. ხოლო იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, რელიგია სააქაო ცხოვრებაში ქველმოქმედებას ასწავლის, მთელი მათი ექსპლოატატორული არსებობის გასამართლებლად ძალიან იაფ საშუალებას აწვდის და ხელსაყრელ ფასად აძლევს ზეციური კეთილდღეობის ბილეთებს. რელიგია ხალხის ბანგია. რელიგია სულიერი მათრობელასმაგვარი რამაა, რომელშიც კაპიტალის მონები ახრჩობენ თავიანთ ადამიანურ სახეს, თავიანთ მოთხოვნებს რაოდენადმე მაინც ადამიანის ღირსი ცხოვრება ჰქონდეთ.

მაგრამ მონა, რომელსაც თავისი მონობა შეუგნია და თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაუწყია, სანახევროდ უკვე მონა აღარაა. თანამედროვე შეგნებული მუშა, მსხვილი საფაბრიკო მრეწველობის მიერ აღზრდილი, ქალაქის ცხოვრებით განათლებული, ზიზღით უკუაგდებს რელიგიურ ცრურწმენას; იგი ზეცას ხუცებისა და ბურჟუაზიული ფარისევლების განკარგულებაში სტოვებს, ხოლო თვითონ იმისათვის იბრძვის, რომ აქვე დედამიწაზე, უკეთესი ცხოვრება მოიპოვოს. თანამედროვე პროლეტარიატი სოციალიზმის მხარეზე დგება, სოციალიზმი კი მეცნიერებას იშველიებს რელიგიურ ბურჟუსთან საბრძოლველად და მუშას საიქიო ცხოვრების რწმენისაგან ათავისუფლებს იმით, რომ რაზმავს მას ამქვეყნიური უკეთესი ცხოვრებისათვის ნამდვილად საბრძოლველად.

რელიგია კერძო საქმედ უნდა გამოცხადდეს — ჩვეულებრივ ამ სიტყვებით გამოხატავენ ხოლმე სოციალისტების დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობა ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რათა მათ არავითარი გაუგებრობა არ გამოიწვიონ. ჩვენ მოვითხოვთ რელიგია კერძო საქმედ იყოს მიჩნეული სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია რელიგია კერძო



საქმედ მივიჩნით ჩვენი საკუთარი პარტიის მიმართ. სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან, რელიგიური საზოგადოებანი არ უნდა იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ყველა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს იწამოს რომელი რელიგიაც უნდა ან არავითარი რელიგია არ იწამოს, ე. ი. იყოს ათეისტი, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე ყოველი სოციალისტი. სრულიად დაუშვებელია მოქალაქეთა რაიმე უფლებრივი განსხვავება მათი სხვადასხვა რელიგიური რწმენის გამო. ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველგვარი ხსენებაც კი მოქალაქეთა ამა თუ იმ სარწმუნოების შესახებ აუცილებლად უნდა მოისპოს. არავითარი თანხა არ უნდა ეძლეოდეს სახელმწიფო ეკლესიას, არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს, რომელნიც უნდა გახდნენ თავისუფალ, ხელისუფლებისაგან სავსებით დამოუკიდებელ მოქალაქე-თანამოაზრეთა კავშირებად. მხოლოდ ამ მოთხოვნათა ბოლომდე განხორციელებით შეიძლება ბოლო მოეღოს იმ სამარცხვინო და წყეულ წარსულს, როდესაც ეკლესია სახელმწიფოსაგან ყმურ დამოკიდებულებაში იყო, ხოლო რუსეთის მოქალაქენი სახელმწიფო ეკლესიისაგან იყვნენ ყმურ დამოკიდებულებაში, როდესაც არსებობდა და მოქმედებდა შუასაუკუნეობრივი, ინკვიზიტორული კანონები (ეს კანონები აქამდე დარჩენილია ჩვენს სისხლის სამართლის დებულებებსა და წესდებებში), რომლებიც სდევნიდნენ რწმენისა ან ურწმუნოებისათვის, ძალას ატანდნენ ადამიანის სინდისს, საბაზინო სამსახურს და საბაზინო შემოსავალს უკავშირებდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო ბანგის ჩამორიგებას. სახელმწიფოსაგან ეკლესიის სავსებით გამოყოფა—აი ის მოთხოვნა, რომელსაც სოციალისტური პროლეტარიატი თანამედროვე სახელმწიფოსა და თანამედროვე ეკლესიას უდგენს.

რუსეთის რევოლუციამ უნდა განახორციელოს ეს მოთხოვნა, როგორც პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ რუსეთის რევოლუცია გან-

ჩაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რადგან პოლიციურ-ბატონყმური თვითმპყრობელობის საზიზღარმა დახავსებულობამ სამღვდლოებაშიც კი უკმაყოფილება, მღვდლვარება და აღშფოთება გამოიწვია. თუმცა ძალიან დაბეჩავებული, ძალიან უმეცარი იყო რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდლოება, მაგრამ ახლა ისიც კი გამოადვიდა რუსეთის ძველი, შუასაუკუნეობრივი წესწყობილების დამხობის ქექაქუხილმა. ისიც კი მხარს უჭერს თავისუფლების მოთხოვნას, პროტესტს აცხადებს დახავსებულობისა და მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ, პოლიციური მძებრობის წინააღმდეგ. რაც «ღვთის მსახურთ» თავს მოახვეის. ჩვენ, სოციალისტებმა, მხარი უნდა დავუჭიროთ ამ მოძრაობას, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ პატიოსან და გულწრფელ სასულიერო პირთა მოთხოვნები, თავისუფლებაზე ლაპარაკში ჩავიჭიროთ ხოლმე ისინი და მოვთხოვოთ, რომ მათ გადაჭრით გაწყვიტონ ყოველგვარი კავშირი რელიგიასა და პოლიციას შორის. ან თქვენ გულწრფელნი ხართ, და მაშინ მხარი უნდა დაუჭიროთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის სრულ გამოყოფას, მხარი უნდა დაუჭიროთ სარწმუნოების სავსებით და უსათუოდ კერძო საქმედ გამოცხადებას. ანდა თქვენ არ იზიარებთ თავისუფლების ამ თანმიმდევრულ მოთხოვნებს, — და მაშინ თქვენ, ცხადია, ჯერ კიდევ ტყვე ხართ ინკვიზიციის ტრადიციებისა; მაშინ, ცხადია, თქვენ ჯერ კიდევ ეტმასნებით სახაზინო სამსახურსა და სახაზინო შემოსავალს, — მაშინ, ცხადია, თქვენ არა გწამთ თქვენივე იარაღის სულიერი ძალა, ვანაგრძობთ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ქრთამის მიღებას, — მაშინ მთელი რუსეთის შეგნებული მუშები დაუნდობელ ბრძოლას გიცხადებენ.

სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია კერძო საქმე არ არის. ჩვენი პარტია მუშათა კლასის ვანთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუგნებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა

სახით. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, რათა რელიგიურ ბურჟუაზიას წმინდა იდეური და მხოლოდ იდეური იარაღით, ჩვენი პრესით, ჩვენი სიტყვით ვებრძოლოთ. მაგრამ ჩვენი კავშირი, რსდმპ, სხვათა შორის, ჩვენ დავაარსეთ სწორედ მუშების ყოველგვარი სარწმუნოებრივი გაბრიყვების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლისათვის. ჩვენთვის იდეური ბრძოლა კერძო საქმე კი არა, საერთო პარტიული, საერთო პროლეტარული საქმეა.

თუ ასეა, რატომ არ ვამბობთ ჩვენს პროგრამაში, რომ ათეისტები ვართ? რატომ არ ვუკრძალავთ ქრისტიანებსა და ღვთის მორწმუნეთ ჩვენს პარტიაში შემოსვლას?

ამ კითხვის პასუხმა უნდა განმარტოს ის დიდმნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს რელიგიის საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ დაყენებას შორის.

ჩვენი პროგრამა მთლიანად აგებულია მეცნიერულ და ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურჟუაზიის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს; სათანადო მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც აქამდე სასტიკად კრძალავდა და სდევნიდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფო ხელისუფლება, ახლა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ დარგს უნდა შეადგენდეს. ჩვენ, ალბათ, ახლა მოგვიხდება გვეყვით იმ რჩევას, რაც ენგელსმა ერთხელ გერმანელ სოციალისტებს მისცა: გადმოთარგმნეთ და მასობრივად გაავრცელეთ XVIII საუკუნის ფრანგული საგანმანათლებლო და ათეისტური ლიტერატურაო!

მაგრამ ამასთანავე ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავეყვით სარწმუნოებრივი საკითხის აბსტრაქტულ, იდეალისტურ, «წმინდა გონებრივ», კლასთა ბრძოლის გარეშე დაყენებას, როგორც ამას ხშირად სჩადიან ბურჟუაზიული რადიკალ-დემოკრატები. სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს

მუშათა მასების უსაზღვრო ჩაგვრასა და გატლანქებაზე დამყარებულ საზოგადოებაში შეიძლებოდა რელიგიურ ცრურწმენათა გაფანტვა ცარიელი ქადაგებით. ბურჟუაზიული შეზღუდულობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ რელიგიის მიერ კაცობრიობის ჩაგვრა მხოლოდ პროდუქტი და ანარქულია საზოგადოების შიგნით არსებული ეკონომიური ჩაგვრისა. ვერავითარი წიგნებით და ვერავითარი ქადაგებით ვერ გავანათლებთ პროლეტარიატს, თუ იგი კაპიტალიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ მისსავე საკუთარმა ბრძოლამ არ გაანათლა. ამ ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად ჩაგრული კლასის ამ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პროლეტარების აზრთა ერთიანობას ზეციური სამოთხის შესახებ.

აი რატომ არ ვაცხადებთ და არც უნდა ვაცხადებდეთ ჩვენს პროგრამაში ჩვენს ათეიზმს; აი რატომ არ ვუკრძალავთ და არც უნდა ვუკრძალავდეთ პროლეტარებს, რომელთაც ძველ ცრურწმენათა ესა თუ ის ნაშთი შერჩენიათ, ჩვენს პარტიასთან დაახლოებას. მეცნიერულ მსოფლმხედველობას ჩვენ ყოველთვის ვიქადაგებთ, რომელიმე «ქრისტიანთა» არათანამიმდევრობასთან ბრძოლა ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს საჭირო იყოს რელიგიის საკითხი დავაყენოთ პირველ ადგილას, რომელიც მას სრულიადაც არ ეკუთვნის, თითქოს საჭირო იყოს ნამდვილად რევოლუციური, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ძალთა დაქსაქსვა რაღაც მესამეხარისხოვან აზრთა თუ ბოღვანთა გულისთვის, რომელთაც ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას სწრაფად უკარგავს, სწრაფად გადაისვრის ხოლმე ხარახურის საკუჭნაოში თვით ეკონომიური განვითარების მსვლელობა.

რეაქციული ბურჟუაზია ყველგან ზრუნავდა და ახლა ჩვენშიც იწყებს ზრუნვას, რათა გაადვივოს რელიგიური შუღლი, რათა მასების ყურადღება მიმართოს ამ მხრივ და ააშოროს იმ ნამდვილად მნიშვნელოვან და ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს, რომელთაც ახლა პრაქტიკულად

წყვეტს თავის რევოლუციურ ბრძოლაში გაერთიანების გზაზე მდგომი სრულიად რუსეთის პროლეტარიატი. პროლეტარულ ძალთა დაქსაქსვის ამ რეაქციულმა პოლიტიკამ, რომელიც დღეს თავს იჩენს, უმთავრესად, შავრაზმული დარბევებით, შეიძლება ხვალ რაიმე უფრო მოქნილი რეფორმები მოიგონოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მას დაუუპირისპირებთ პროლეტარული სოლიდარობისა და მეცნიერული მსოფლმხედველობის დინჯად, მტკიცედ და მოთმინებით ქადაგებას, რომლისთვისაც უცხოა მეორეხარისხოვან უთანხმოებათა ყოველგვარი გამწვავება.

რევოლუციური პროლეტარიატი მიაღწევს იმას, რომ რელიგია სახელმწიფოსათვის მართლაც კერძო საქმედ იქცეს. და ამგვარ, შუასაუკუნებრივი ხავსისაგან გაწმენდილ პოლიტიკურ წყობილებაში პროლეტარიატი გააჩაღებს ფართო, აშკარა ბრძოლას ეკონომიური მონობის — კაცობრიობის რელიგიური გაბრიყვების ამ ნამდვილი წყაროს მოსასპობად.

«ნოვია ეიზნ» № 28,  
1905 წ. 3 დეკემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,  
ტ. 10, გვ. 83 — 89.

---

## ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე

დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უადრესად რთული მოვლენაა; მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე.

ლეგალურ რუსულ პრესას, რომელიც აღსავსეა სტატიებით, წერილებითა და შენიშვნებით ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეს გამო, ყველაზე ნაკლებად აინტერესებს მის ნაწარმოებთა ანალიზი რუსეთის რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათის თვალსაზრისით. მთელი ეს პრესა გულისამრევად აღსავსეა პირმოთნეობით, ორგვარი პირმოთნეობით: კაზიონურითა და ლიბერალურით. პირველია იმ მოქრთამული მჭლახლელების ტლანქი პირმოთნეობა, რომლებსაც გუშინ ნაბრძანები ჰქონდათ ლ. ტოლსტოის დევნა, დღეს კი ნაბრძანები აქვთ გამოუძებნონ მას პატრიოტიზმი და ეცადონ

დაიცვან რიგიანობა ევროპის წინაშე. ამ ჯურის მჭლახნელებს რომ ფული მისცეს მათ ნაჯღაბნში, ეს ყველასათვის ცნობილია, და ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. გაცილებით უფრო დახვეწილია და ამიტომ გაცილებით უფრო მავნებელი და საშიშია ლიბერალური პიროვნება. «რეჩის»<sup>2</sup> კადეტურ ბალაიკინებს რომ ყური დაუგდოთ — ისინი ტოლსტოისადმი უაღრესად სრული და უაღრესად მხურვალე თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი. ნამდვილად კი, გაანგარიშებული დეკლამაცია და მაღალფარდოვანი ფრაზები «დიდ ღვთისმძიებელზე» სულ ერთიანად სიყალბეა, რადგან რუს ლიბერალს არც ტოლსტოის ღმერთი სწამს და არც არსებული წყობილების ტოლსტოურ კრიტიკას თანაუგრძნობს. ის ეტმასნება პოპულარულ სახელს, რათა გაადიდოს თავისი პოლიტიკური კაპიტალი, რათა გაითამაშოს საერთო-ნაციონალური ოპოზიციის ბელადის როლი, იგი ცდილობს ფრაზების რახარუხითა და კორიანტელით ჩაახშოს მოთხოვნილება — პირდაპირი და ნათელი პასუხი იქნას გაცემული კითხვაზე: რა იწვევს «ტოლსტოელობის» აშკარად მღალადებელ წინააღმდეგურობას, ჩვენი რევოლუციის რა ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს გამოხატავს იგი?

წინააღმდეგურობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც აშკარად მღალადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისთვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიჭრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, «ტოლსტოელი», ე. ი. გაცვეთილი, ისტერიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: «მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორციულს აღარა ვკვამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდობო».

ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სილატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ «ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს» ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგნენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა. ჭეშმარიტად:

ლატაკიცა ხარ, ბარაქიანიც,  
ძლიერიცა ხარ და უძლურიცა  
— დედავ რუსეთო!

ასეთ წინააღმდეგობათა დროს ტოლსტოის რომ სრულიად არ შეეძლო გაეგო არც მუშათა მოძრაობა და მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არც რუსეთის რევოლუცია, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგური პირობების გამოხატულებაა, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება. პატრიარქალური სოფელი, რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და გასაძარცვავად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და გლეხის ცხოვრების ძველი ბურჯები, ის ბურჯები, რომლებიც მართლაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა, არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრეოდა. და ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა უნდა შეეფასასოთ არა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით (ასეთი



შეფასება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ იგი საკმარისი არ არის), არამედ კარს მომდგარი კაპიტალიზმის, მასების გაჩანაგებისა და უმიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ მიმართული იმ პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც უნდა წარმოეშვა პატრიარქალურ რუსულ სოფელს. ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები, — ამიტომაც სავსებით უბადრუკნი არიან საზღვარგარეთელი და რუსი «ტოლსტოელები», რომლებმაც მოისურვეს დოგმად გადაექციათ მისი მოძღვრების სწორედ ყველაზე სუსტი მხარე. ტოლსტოი დიდია, როგორც იმ იდეებისა და იმ სულისკვეთების გამომხატველი, რომლებიც შეიქმნა მილიონობით რუს გლეხობაში რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მთლიანად აღებულ მის შეხედულებათა ერთობლიობა გამოხატავს სწორედ ჩვენი რევოლუციის, როგორც გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის, თავისებურებებს. ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა, ამ თვალსაზრისით, — ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში. ერთი მხრივ, ბატონყმური ჩაგვრის საუკუნეებმა და რეფორმის შემდგომდროინდელი დაჩქარებული გაჩანაგების ათეულმა წლებმა უდიდესი სიძულვილი, გულისწყრომა და თავგანწირული გაბედულება დააგროვეს. მისწრაფება, რომ ძირიან-ფესვიანად აღგავონ ოფიციალური ეკლესია, მემამულეებიც, მემამულური მთავრობაც, მოსპონ მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმა და წესი, გაწმინდონ ნიადაგი, შექმნან პოლიციურ-კლასობრივი სახელმწიფოს ნაცვლად თავისუფალ და თანასწორუფლებიან წვრილ გლეხთა თანაცხოვრება — ეს მისწრაფება წითელ ზოლად გასდევს გლეხთა ყოველ ისტორიულ ნაბიჯს ჩვენს რევოლუციაში, და, უეჭველია, ტოლსტოის ნაწერების იდეური შინაარსი გაცილებით უფრო შეესაბამება ამ გლეხურ მისწრაფებას, ვიდრე განყენებულ «ქრისტიანულ ანარქიზმს», როგორც აფასებენ ზოგჯერ მის შეხედულებათა «სისტემას».

მეორე მხრივ, გლახობა, რომელიც მიისწრაფვის თანაცხოვრების ახალი ფორმებისაკენ, ძალიან შეუგნებლად, პატრიარქალურად, სალოსურად ეკიდებოდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს თანაცხოვრება, როგორი ბრძოლით უნდა მოიპოვოს მან თავისუფლება, როგორი ხელმძღვანელები შეიძლება ჰყავდეს მას ამ ბრძოლაში, როგორ ეპყრობა გლახური რევოლუციის ინტერესებს ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რატომ არის აუცილებელი მეფის ხელისუფლების ძალით დამხობა მემამულური მიწათმფლობელობის მოსასპობად. გლახობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მას ბატონისა და მოხელის სიძულვილი, მაგრამ ვერ ასწავლა და ვერც ასწავლიდა, სად ეძებნა ყველა ამ კითხვის პასუხი. ჩვენს რევოლუციაში გლახობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენადმე კიდევ ირაზმებოდა, და სულ მცირე ნაწილი ჰკიდებდა ხელს იარაღს თავისი მტრების გასაყლევად; მეფის მსახურთა და მემამულეების დამცველთა მოსასპობად. გლახობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონირობდა და ოცნებობდა, თხოვნებს წერდა და «შუაქაცებს» გზავნიდა, — საესებით ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ! და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ტოლსტოისებური თავშეკავება პოლიტიკისაგან, ტოლსტოისებური უარყოფა პოლიტიკისა, ამ პოლიტიკისადმი ინტერესის უქონლობა და მისი გაუგებლობა იწვევდა იმას, რომ შეგნებულ და რევოლუციურ პროლეტარიატს მიჰყვებოდა უმცირესობა, უმრავლესობა კი ხელში უვარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც კადეტების სახელწოდებით გარბოდნენ ტრუდოვიკების კრებიდან სტოლიპინის დერეფანში, ელიჰინებოდნენ, ევაჭრებოდნენ, მორიგებას ცდილობდნენ, შერიგებას ჰპირდებოდნენ, — ვიდრე ისინი ჯარისკაცის ჩქმით არ გამოაპანდურეს. ტოლსტოის იდეები ჩვენი გლახური აჯანყების სისუსტისა და ნაკლოვანებათა სარკეა, პატრიარქალური სოფლის უნიათობისა და «მეურნე გლახის» ბეჩავი ლაჩრობის ასახულებაა.

აიღეთ ჯარისკაცთა 1905—1906 წლების აჯანყებანი. ჩვენი რევოლუციის ამ მეტრძოლთა სოციალური შემადგენლობა შუათანაა გლეხობასა და პროლეტარიატს შორის. უკანასკნელი უმცირესობაშია. ამიტომ მოძრაობა ჯარში დაახლოებითაც კი ვერ გვიჩვენებს ისეთ სრულიად რუსეთის მასშტაბით დარაზმულობას, ისეთ პარტიულ შეგნებულობას, რაც გამოიჩინა პროლეტარიატმა, რომელიც თითქოს ხელის ერთი გაქნევით გახდა სოციალ-დემოკრატიული. მეორე მხრივ არა არის რა იმ აზრზე უფრო მცდარი, თითქოს ჯარისკაცების აჯანყებათა წარუმატებლობის მიზეზი ოფიცრობიდან გამოსულ ხელმძღვანელთა უყოლობა ყოფილიყოს. პირიქით, რევოლუციის გიგანტური პროგრესი «ნაროდნაია ვოლიას» დროიდან სწორედ იმით გამოიხატა, რომ უფროსთა წინააღმდეგ იარაღს მოჰკიდა ხელი «უენო პირუტყვემა», რომლის დამოუკიდებლობამ ასე დააფრთხო ლიბერალური მემამულეები და ლიბერალური ოფიცრობა. ჯარისკაცი აღსავეს იყო გლეხის საქმისადმი თანაგრძნობით; მისი თვალები აღინთებოდა ხოლმე მიწის ხსენებაზედაც კი. ძალაუფლება ჯარში არაერთხელ გადასულა ჯარისკაცთა მასის ხელში, — მაგრამ ეს ძალაუფლება გაბედულად თითქმის არ ყოფილა გამოყენებულ; ჯარისკაცები ყოყმანობდნენ; რომელიმე საძულველ უფროსს რომ მოჰკლავდნენ, ისინი ორიოდე დღის შემდეგ, ზოგჯერ რამდენიმე საათის შემდეგ, პატიმრობიდან ათავისუფლებდნენ დანარჩენებს, მოლაპარაკებას მართავდნენ ხელისუფლებასთან და შემდეგ დასახვრეტად დგებოდნენ, გასაწყებად წვებოდნენ, ისევ ებმოდნენ უღელში—სავსებით ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ!

ტოლსტოიმ ასახა გულში დაგროვილი სიძულვილი, მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი, — და მოუმწიფებელი ოცნება, პოლიტიკური აღუზრდელობა, რევოლუციური უნიათობა. ისტორიულ-ეკონომიური პირობები გვიხსნიან მასების რევოლუციური ბრძოლის წარმოშობის აუცილებლობასაც და ბრძოლისათვის მათ მოუმზადებლობასაც, ტოლსტოისებურ მორჩილებას

ბოროტებისადმი, რაც პირველი რევოლუციური კამპანიის დამარცხების ფრიად სერიოზული მიზეზი იყო.

ამბობენ, დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენო. რა თქმა უნდა, რევოლუციური კლასების შედარება არმიებთან სწორია მხოლოდ მეტად ვიწრო აზრით. კაპიტალიზმის განვითარება ყოველ საათობით ცვლის და ამწვავენს იმ პირობებს, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლისათვის მემამულე-მებატონეებისა და მათი მთავრობისადმი სიძულვილით ერთად დარაზმულ მილიონობით გლეხს. თვითონ გლეხობაში გაცვლა-გამოცვლის, ბაზრის ბატონობისა და ფულის მეუფების ზრდა სულ უფრო და უფრო გამოდევნის ძველ პატრიარქალურ ცხოვრებას და პატრიარქალურ ტოლსტოურ იდეოლოგიას. მაგრამ რევოლუციის პირველ წელთა და მასობრივ რევოლუციურ ბრძოლაში პირველ დამარცხებათა ერთი მონაპოვარი ეჭვს გარეშეა: ეს არის სასიკვდილო ლახვარი, რომელიც ჩაეცა მასების წინანდელ მოდუნებულობასა და დონდლობას. გამმიჯნავი ხაზები უფრო მკაფიო გახდა. კლასები და პარტიები გაიმიჯნენ. სტოლიპინის გაკვეთილების უროს ცემაში, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების განუხრელი, მტკიცე აგიტაციის დროს არა მარტო სოციალისტური პროლეტარიატი, არამედ გლეხობის დემოკრატიული მასებიც გარდუვალად წარმოშობენ უფრო და უფრო გამოწრთობილ მებრძოლებს, რომლებიც უფრო და უფრო ნაკლებად ჩაიდენენ ტოლსტოელობის ჩვენს ისტორიულ ცოდვას!

«პროლეტარი» № 35,  
1908 წ. 11 (24) სექტემბერი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით. გამოც. მე-4, ტ. 15.  
გვ. 236 — 245.

## მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი

დეპუტატ სურკოვის სიტყვამ სახელმწიფო სათათბიროში სინოდის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს და ამ სიტყვის პროექტის განხილვისას სათათბიროს ჩვენს ფრაქციაში გამართულმა კამათმა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ, უაღრესად მნიშვნელოვანი და სწორედ ამჟამად საჭირობო საკითხი აღძრეს. ყოველივე იმისადმი ინტერესმა, რაც რელიგიასთანაა დაკავშირებული, უეჭველია, ახლა მოიცვა «საზოგადოების» ფართო წრეები და შეაღწია მუშათა მოძრაობასთან დაახლოებული ინტელიგენციის რიგებში, აგრეთვე მუშათა გარკვეულ წრეებში. სოციალ-დემოკრატია უსათუოდ ვალდებულია გამოთქვას თავისი დამოკიდებულება რელიგიისადმი.

სოციალ-დემოკრატია მთელ თავის მსოფლმხედველობას აშენებს მეცნიერულ სოციალიზმზე, ე. ი. მარქსიზმზე. მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველს, როგორც არაერთხელ განუცხადებიათ მარქსსაც და ენგელსსაც, წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელმაც სავსებით შეითვისა საფრანგეთის XVIII საუკუნისა და ფოიერბახის მიერ გერმანიაში ჩამოყალიბებული (XIX საუკუნის 1-ლი ნახევარი) მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები, — უსათუოდ ათეისტური, ყოველი რელიგიისადმი აშკარად მტრული მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები. მოგაგონებთ, რომ

ენგელსის მთელი «ანტი-დიურინგი», რომელიც მარქსმა ზელნაწერის სახით წაიკითხა, ამხელს მატერიალისტსა და ათეისტ დიურინგს იმაში, რომ მისი მატერიალიზმი ბოლომდე დაცული არ არის, რომ ის ხვრელებს უტოვებს რელიგიასა და რელიგიურ ფილოსოფიას. მოგაგონებთ, რომ თავის თხზულებაში ლუდვიგ ფოიერბახის შესახებ<sup>3</sup> ენგელსი უსაყვედურებს მას, რომ ის რელიგიას ებრძოდა არა მისი მოსპობის გულისათვის, არამედ განახლების, ახალი, «ამაღლებული» რელიგიის შეთხზვის გულისათვის და სხვა. რელიგია ხალხის ბანგია, — მარქსის ეს თქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობისა რელიგიის საკითხში<sup>4</sup>. ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან.

მაგრამ ამავე დროს ენგელსს არა ერთხელ დაუგმია იმ ადამიანთა ცდები, რომლებსაც სურდათ სოციალ-დემოკრატიაზე «უფრო მემარცხენე» ანუ «უფრო რევოლუციური» ყოფილიყვნენ, შეეტანათ მუშათა პარტიის პროგრამაში პირდაპირი აღიარება ათეიზმისა რელიგიისათვის ომის გამოცხადების აზრით. 1874 წელს ენგელსი, როდესაც იგი ლაპარაკობს კომუნის ლტოლვილთა, ლონდონში ემიგრანტებად მცხოვრებ ბლანკისტთა ცნობილ მანიფესტზე, სისულელედ თვლის, რომ მათ დიდი ამბით გამოუცხადეს ომი რელიგიას, და ამბობს, ომის ასეთი გამოცხადება რელიგიისადმი ინტერესის გამოცოცხლებისა და რელიგიის ნამდვილი კვდომის გაძნელების საუკეთესო საშუალება არისო. ენგელსი ბლანკისტებს ბრალად სდებს, რომ მათ უნარი არ შესწევთ გაიგონ, რომ მხოლოდ მუშათა მასების კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ყოველმხრივ აბამს პროლეტარიატის უაღრესად ფართო მასებს შეგნებულ და რევოლუციურ საზოგადოებრივ პრაქტიკაში, ძალუძს ნამდვილად გაათავისუფლოს ჩაგრული მასები რელიგიის უღლისაგან, მაშინ როდესაც მუშათა პარტიის

პოლიტიკურ ამოცანად რელიგიასთან ომის გამოცხადება ანარქისტული ფრაზა არისო<sup>5</sup>. 1877 წელსაც ენგელსი «ანტი-დიურინგში» უღმობლად ამათრახებს დიურინგ-ფილოსოფოსის სულ მცირედ დათმობასაც კი იდეალიზმისა და რელიგიის მიმართ და ამავე დროს არანაკლებ გადაჭრით გმობს დიურინგის ვითომდა რევოლუციურ იდეას სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიის აკრძალვის შესახებ. რელიგიისათვის ამგვარი ომის გამოცხადება იმას ნიშნავს, — ამბობს ენგელსი, — რომ «გადააჰარბო თვით ბისმარკს», ე. ი. გაიმეორო კლერიკალებთან ბისმარკის ბრძოლის სისულელე (ყბადღეებული «ბრძოლა კულტურისათვის», *Kulturkampf*, ე. ი. ბისმარკის ბრძოლა 1870-იან წლებში გერმანიის კათოლიკეთა პარტიის, «ცენტრის» პარტიის წინააღმდეგ, კათოლიციზმის პოლიციური დევნის გზით). ასეთი ბრძოლით ბისმარკმა მხოლოდ განამტკიცა კათოლიკეთა მეზობლი კლერიკალიზმი, მხოლოდ ავნო ნამდვილი კულტურის საქმეს, ვინაიდან პირველ ადგილზე წამოსწია რელიგიური დაყოფანი პოლიტიკურ დაყოფათა ნაცვლად, მუშათა კლასისა და დემოკრატიის ზოგიერთი ფენის ყურადღება ჩამოაშორა კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლის საჭირობოროტო ამოცანებს და წარმართა მეტად ზერელე და ბურჟუაზიული ყალბი ანტიკლერიკალიზმისაკენ. როდესაც დიურინგს, რომელსაც უნდოდა ულტრა-რევოლუციური ყოფილიყო, ბრალს სდებდა იმაში, რომ მას სურდა სხვა ფორმით განემეორებინა ბისმარკის იგივე სისულელე, ენგელსი მოითხოვდა მუშათა პარტიისაგან გამოეჩინა უნარი — მოთმინებით ემუშავნა პროლეტარიატის ორგანიზაციისა და განათლების საქმეზე, ისეთ საქმეზე, რომელიც იწვევს რელიგიის კვდომას, და არ გადავარდნილიყო რელიგიასთან პოლიტიკური ომის ავანტიურებში<sup>6</sup>. ეს თვალსაზრისი ძვალ-რბილში გაუჩდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც მხარი დაუჭირა, მაგალითად, იეზუიტების თავისუფლებას, მათ დაშვებას გერმანიაში, ამა თუ იმ რელიგიასთან პოლიციური ბრძოლის ყოველგვარ ღონისძიებათა მოსპობას. «რელიგიის გამოცხადება მკერძო საქმედ» — ერფურტის პროგრამის<sup>7</sup> (1891) აქ

ცნობილმა პუნქტმა განამტკიცა სოციალ-დემოკრატიის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ტაქტიკა.

ამ ტაქტიკამ მოასწრო ახლა უკვე რუტინად გამხდარიყო, მოასწრო წარმოეშვა მარქსიზმის ახალი დამახინჯება პირუტყუ მიმართულებით, ოპორტუნიზმის მიმართულებით. დაიწყეს ერფურტის პროგრამის დებულების განმარტება იმ აზრით, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ჩვენი პარტია რელიგიას ვთვლით კერძო საქმედ, რომ ჩვენთვის, როგორც სოციალ-დემოკრატებისათვის, ჩვენთვის, როგორც პარტიისათვის, რელიგია კერძო საქმეაო. ენგელსმა, რომელსაც პირდაპირი პოლემიკა არ გაუმართავს ამ ოპორტუნიზმულ შეხედულებასთან, 1890-იან წლებში საჭიროდ მიიჩნია გადაჭრით გამოსულიყო მის წინააღმდეგ არა პოლემიკური, არამედ პოზიტიური ფორმით. სახელდობრ: ენგელსმა ეს მოიმოქმედა საგანგებოდ ხაზგასმული განცხადების ფორმით, რომ სოციალ-დემოკრატია რელიგიას კერძო საქმედ თვლის სახელმწიფოს მიმართ და სრულიადაც არა თავისთავის მიმართ, არა მარქსიზმის მიმართ, არა მუშათა პარტიის მიმართ<sup>8</sup>.

ასეთია რელიგიის საკითხზე მარქსისა და ენგელსის გამოსვლების გარეგნული ისტორია. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მარქსიზმს, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ იფიქრონ, ეს ისტორია არის მარქსიზმის უაზრო წინააღმდეგობათა და ქანაობათა გროვა: ერთმანეთში შეზავებული «თანმიმდევრული» ათეიზმისა და რელიგიის «შელავათების» რაღაც დომხალიაო, რაღაც «უპრინციპო» მერყეობა არისო, ერთი მხრივ, ღმერთის წინააღმდეგ, რ-რ-რევოლუციურ ომსა და, მეორე მხრივ, მორწმუნე მუშებთან «შეგუების» ლაჩრულ სურვილს შორის, მათი დაფრთხობის შიშს შორისაო და სხვა და სხვა. ანარქისტ ფრაზიორების ლიტერატურაში საკმაოდ ბევრ ამგვარ გამოლაშქრებას იპოვით მარქსიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ ვისაც ცოტათი მაინც შესწევს უნარი სერიოზულად მოეკიდოს მარქსიზმს, ჩაუფიქრდეს მის ფილოსოფიურ საფუძვლებს და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის



გამოცდილებას, ის ადვილად დაინახავს, რომ მარქსიზმის ტაქტიკა რელიგიის მიმართ ღრმად თანმიმდევრულია და ბოლომდე მოფიქრებულია მარქსისა და ენგელსის მიერ, რომ ის, რაც დილექტანტებს ან უმეცრებს ქანაობად მიაჩნიათ, არის დიალექტიკური მატერიალიზმიდან გამომდინარე პირდაპირი და გარდუვალი დასკვნა. დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქოს მარქსიზმის მოჩვენებითი «ზომიერება» რელიგიის მიმართ აიხსნებოდეს, ეგრეთწოდებული, «ტაქტიკური» მოსაზრებებით — იმის სურვილით, რომ «არ დავაფრთხოთ» და სხვა. პირიქით, მარქსიზმის პოლიტიკური ხაზი ამ საკითხშიც განუყრელად დაკავშირებულია მის ფილოსოფიურ საფუძვლებთან.

მარქსიზმი არის მატერიალიზმი. როგორც ასეთი, იგი ისევე უღმობელი მტერია რელიგიისა, როგორც XVIII საუკუნის ენციკლოპედისტთა მატერიალიზმი ან ფოიერბახის მატერიალიზმი. ეს უეჭველია. მაგრამ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი ენციკლოპედისტებსა და ფოიერბახზე უფრო შორს მიდის, რადგან მატერიალისტურ ფილოსოფიას იმარჯვებს ისტორიის დარგში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმისა და, მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია. მაგრამ მარქსიზმი ანბანზე გაჩერებული მატერიალიზმი არ არის. მარქსიზმი უფრო შორს მიდის. იგი ამბობს: უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო. რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შევზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განვსაზღვროთ; ეს ბრძოლა უნდა დავუკავშიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას. რატომ შერჩა რელიგია ქალაქის პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებს, ნახევრადპროლეტარიატის ფართო ფენებს, აგრეთვე გლეხობის მასას? ხალხის უმეცრების გამო, —

გვიპასუხებს ბურჟუაზიული პროგრესისტი, რადიკალი ან ბურჟუაზიული მატერიალისტი. მაშასადამე, ძირს რელიგია, გაუმარჯოს ათეიზმს, ათეისტურ შეხედულებათა გავრცელება ჩვენი მთავარი ამოცანა არისო. მარქსისტი ამბობს: არ არის მართალი. ასეთი შეხედულება ზერელეა, ბურჟუაზიული შეზღუდული კულტუროსნობაა. ასეთი შეხედულება არასაკმაო სიღრმით, არა მატერიალისტურად, არამედ იდეალისტურად ხსნის რელიგიის ფესვებს. თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს ფესვები, უმთავრესად, სოციალური ა. მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავება, მათი მოჩვენებითი სრული უმწეობა კაპიტალიზმის ბრმა ძალების წინაშე, კაპიტალიზმისა, რომელიც ყოველდღე და ყოველ საათს ათასჯერ უფრო მეტ საზარელ ტანჯვას, აუწერელ მხეცურ წამებას აყენებს უბრალო მუშა-ხალხს, ვიდრე ყოველგვარი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორცაა ომი, მიწისძვრა და ა. შ.— აი სად არის რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი. «შიშმა შექმნა ღმერთები». შიში კაპიტალის ბრმა ძალის წინაშე, რომელიც ბრმა იმიტომ, რომ არ შეიძლება ხალხის მასების მიერ გათვალისწინებულ იქნას, და რომელიც პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ემუქრება და კიდევ არგუნებს «უეცარ», «მოულოდნელ», «შემთხვევითს» გაჩანაგებას, დაღუპვას, მათხოვრად, პაუპერად, პროსტიტუტად გადაქცევას, შიმშილით სიკვდილს, — აი თანამედროვე რელიგიის ის ფესვი, რომელიც უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს მხედველობაში მატერიალისტს, თუკი მას არ სურს მოსამზადებელი კლასის მატერიალისტად დარჩეს. ვერავითარი განმანათლებელი წიგნაკი ვერ აღმოფხვრის რელიგიას კაპიტალისტური კატორღით დაბეჩავებულ მასებში, რომლებიც დამოკიდებულნი არიან კაპიტალიზმის ბრმა დამანგრეველი ძალებისაგან, ვიდრე ეს მასები თვითონ არ ისწავლიან გაერთიანებულად, ორგანიზებულად, გეგმაზომიერად, შეგნებულად ბრძოლას რელიგიის ამ ფესვის წინააღმდეგ, კაპიტალის ბატონობის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ რელიგიის წინააღმდეგ მიმართული განმანათლებელი წიგნაკი მავნებელი ან ზედმეტია? არა. აქედან ეს კი არ გამომდინარეობს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ სოციალ-დემოკრატიის ათეისტური პროპაგანდა უნდა ექვემდებარებოდეს მის ძირითად ამოცანას: ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ექსპლოატირებული მასების კლასობრივი ბრძოლის განვითარებას.

კაცმა, რომელიც არ ჩაფიქრებია დიალექტიკური მატერიალიზმის, ე. ი. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიის საფუძვლებს, შეიძლება, ვერ გაიგოს (ან, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად ვერ გაიგოს) ეს დებულება. როგორ? იდეური პროპაგანდა, გარკვეული იდეების ქადაგება, ბრძოლა კულტურისა და პროგრესის მტერთან, რომელიც ათასეული წლობით ძლებს (ე. ი. რელიგიასთან), — კლასობრივ ბრძოლას დაუქვემდებაროთ, ე. ი. ბრძოლას განსაზღვრული პრაქტიკული მიზნებისათვის ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში?

ამგვარი მოსაზრება ეკუთვნის მარქსიზმის საწინააღმდეგოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებათა რიცხვს, რომლებიც მოწმობენ მარქსის დიალექტიკის სრულ გაუგებლობას. წინააღმდეგურობა, რომელიც საგონებელში აგდებს იმათ, ვინც ამგვარად მსჯელობს, არის ცოცხალი ცხოვრების ცოცხალი წინააღმდეგურობა, ე. ი. დიალექტიკური, არა სიტყვიერი, არა გამოგონილი წინააღმდეგურობა. ათეიზმის თეორიული პროპაგანდის, ე. ი. პროლეტარიატის გარკვეულ ფენებში რელიგიურ რწმენათა ნგრევის გამოყოფა აბსოლუტური, გაუვალი მიჯნით ამ ფენების კლასობრივი ბრძოლის წარმატებისა, მსვლელობისა და პირობებისაგან იმას ნიშნავს, რომ იმსჯელო არადიალექტიკურად, გადააქციო აბსოლუტურ მიჯნად ის, რაც არის მოძრავი, შედარებითი მიჯნა, — ნიშნავს ძალდატანებით გაგლიჯო ის, რაც ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებულია ცოცხალ სინამდვილეში. ავიღოთ მაგალითი. ამა თუ იმ ოლქისა და მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პროლეტარიატი, ვთქვათ, იყოფა, საკმაოდ შეგნებული სოციალ-დემოკრატების მოწინავე ფენად, რომლებიც, იგულისხმება, ათეისტები არიან,

და საკმაოდ ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ სოფელთან და გლეხობასთან დაკავშირებული მუშების ფენად, რომლებსაც სწამთ ღმერთი, რომლებიც დაიარებიან ეკლესიაში ან იმყოფებიან ადგილობრივი მღვდლის პირდაპირი გავლენის ქვეშაც კი, და ეს მღვდელი, ვთქვათ, აარსებს მუშათა ქრისტიანულ კავშირს. შემდეგ, ვთქვათ, რომ ეკონომიურ ბრძოლას ასეთ ადგილას მოჰყვა გაფიცვა მარქსისტისათვის სავალდებულოა, რომ სავალდებულოა მოძრაობის წარმატება პირველ რიგში დააყენოს, სავალდებულოა გადაჭრით წინააღმდეგს მუშების დაყოფას ამ ბრძოლაში ათეისტებად და ქრისტიანებად, გადაჭრით იბრძოლოს ასეთი დაყოფის წინააღმდეგ. ათეისტური ქადაგება ასეთ პირობებში შეიძლება ზედმეტიც აღმოჩნდეს და მავნებელიც — არა იმ ობიექტულურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, ვაი თუ დავაფრთხოთ ჩამორჩენილი ფენები, დავკარგოთ მანდატი არჩევნებშიო და სხვ., არამედ იმ კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროგრესის თვალსაზრისით, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში ასჯერ უკეთ მიიყვანს ქრისტიან მუშებს სოციალდემოკრატიასთან და ათეიზმთან, ვიდრე ცარიელი ათეისტური ქადაგება. ათეიზმის მქადაგებელი ასეთ მომენტში და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ხ ე ლ ს შ ე უ წ ყ ო ბ და ხუცესსა და ხუცებს, რომლებსაც ისე არაფერი სურთ, როგორც გაფიცვაში მონაწილეობის მიხედვით მუშების დაყოფის შეცვლა ღვთის რწმენის საფუძველზე დაყოფით. ანარქისტი, რომელიც რაღაც უნდა დამჯდარიყო იქადაგებდა ომს ღმერთთან, ნამდვილად დაეხმარებოდა ხუცებსა და ბურჟუაზიას (როგორც მუდამ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ე ხმარებიან ანარქისტები ბურჟუაზიას). მარქსისტი უნდა იყოს მატერიალისტი, ე. ი. რელიგიის მტერი, მაგრამ მატერიალისტი დიალექტიკური, ე. ი. იგი რელიგიასთან ბრძოლის საქმეს უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულად არა განყენებული, წმინდა თეორიული, ყოველთვის ერთფეროვანი ქადაგების ნიადაგზე, არამედ კონკრეტულად, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წარმოებს და ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ზრდის

მასებს. მარქსისტს უნარი უნდა შესწევდეს გაითვალისწინოს მთელი კონკრეტული ვითარება, ყოველთვის იბოვოს საზღვარი ანარქიზმსა და ოპორტუნიზმს შორის (ეს საზღვარი შედარებითია, მოძრავია, ცვალებადია, მაგრამ იგი არსებობს), არ გადაეშვას არც ანარქისტის აბსტრაქტულ, სიტყვიერ, ნამდვილად კი ფუჭ «რევოლუციონარიზმში», არც იმ წვრილ ბურჟუის თუ ლიბერალური ინტელიგენტის ობივატელობასა და ოპორტუნიზმში, რომელსაც აშინებს რელიგიასთან ბრძოლა, რომელიც იგიწყებს ამ თავის ამოცანას, ურიგდება ღვთის რწმენას, ხელმძღვანელობს არა კლასობრივი ბრძოლის ინტერესებით, არამედ წვრილმანი, საცოდავი ანგარიშით: არ აწყენინოს, არ ჩამოიშოროს, არ დააშინოს, ხელმძღვანელობს ფრიად ბრძნული წესით: «იცხოვრე და სხვებსაც ნუ უშლი იცხოვრონო» და ა. შ. და სხვა.

აღნიშნული თვალსაზრისით უნდა გადავწყვიტოთ ყველა კერძო საკითხი, რომელიც კი ეხება სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მაგალითად, ხშირად აყენებენ კითხვას, შეიძლება თუ არა მღვდელი იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიო, და ამ კითხვას ჩვეულებრივ სრულიად უშენიშვნოდ დადებითად უპასუხებენ, ამასთან ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოცდილებაზე მიგვითითებენ. მაგრამ ეს გამოცდილება წარმომოხილია არა მარტო მარქსიზმის დოქტრინის მიყენებით მუშათა მოძრაობისადმი, არამედ დასავლეთის განსაკუთრებული ისტორიული პირობებითაც, რომლებიც რუსეთში არ არის (ამ პირობებზე ქვემოთ ვილაპარაკებთ), ასე რომ უთუო დადებითი პასუხი აქ სწორი არ არის. არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ და ყველა პირობისათვის გამოაცხადო, რომ მღვდლები არ შეიძლება იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად, მაგრამ არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ წამოაყენო ამის საწინააღმდეგო წესიც. თუ მღვდელი ჩვენთან შოდის ერთობლივი პოლიტიკური მუშაობისათვის, კეთილსინდისიერად ასრულებს პარტიულ მუშაობას და არ გამოდის პარტიის პროგრამის წინააღმდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ

ის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, რადგან ჩვენი პროგრამის აზრისა და საფუძვლების წინააღმდეგურობა მღვდლის რელიგიურ რწმენასთან შეიძლებოდა ასეთ პირობებში დარჩენილიყო მხოლოდ ისეთ რამედ, რომელიც მხოლოდ მას ეხება, დარჩენილიყო მის პირად წინააღმდეგურობად, ხოლო თავისი წევრების გამოცდა იმაში, არის თუ არა წინააღმდეგურობა მათს შეხედულებებსა და პარტიის პროგრამას შორის, პოლიტიკურ ორგანიზაციას არ შეუძლია. მაგრამ, ცხადია, ამგვარი შემთხვევა შეიძლებოდა იშვიათი გამონაკლისი ყოფილიყო ევროპაშიც კი, ხოლო რუსეთში იგი ძალიან ნაკლებად წარმოსადგენია. და თუ, მაგალითად, მღვდელი შემოვიდოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და გასწევდა ამ პარტიაში, როგორც თავის მთავარსა და თითქმის ერთადერთ სამუშაოს, რელიგიურ შეხედულებათა აქტიურ ქადაგებას, მაშინ პარტიას უსათუოდ უნდა გაერიცხა ის თავის წრიდან. ჩვენ არათუ უნდა დავუშვათ, არამედ უალრესად უნდა მოვიზიდოთ ყველა მუშა, რომელიც ღვთის რწმენას ინარჩუნებს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ჩვენ უეჭველად წინააღმდეგი ვართ მათი რელიგიური რწმენის სულ მცირედი შეურაცხყოფისა, მაგრამ ჩვენ მათ ვიზიდავთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ ისინი ჩვენი პროგრამის სულისკვეთებით, და არა ამ პროგრამასთან აქტიური ბრძოლისათვის. ჩვენ პარტიის შიგნით ვიწყნარებთ აზრთა თავისუფლებას, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში, რომლებსაც დაჯგუფების თავისუფლება განსაზღვრავს: ჩვენ ვალდებულნი არა ვართ ხელიხელჩაკიდებულნი ვიაროთ ისეთ შეხედულებათა აქტიურ მქადაგებლებთან, რომლებსაც პარტიის უმრავლესობა უარყოფს.

მეორე მაგალითი: შეიძლება თუ არა ყველა პირობებში ერთნაირად გავკიცხოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები განცხადებისათვის: «სოციალიზმი არის ჩემი რელიგია», და ამგვარი განცხადების შესაბამის შეხედულებათა ქადაგებისათვის? არა. მარქსიზმისაგან (მაშასადამე, სოციალიზმისაგანაც) გადახვევა აქ უეჭველია, მაგრამ ამ გადახვევის მნიშვნელობა, მისი, ასე ვთქვათ, ხვედრითი წონა შეიძლება

სხვადასხვანაირი იყოს სხვადასხვა ვითარებაში. ერთი საქმეა, თუ აგიტატორი ანუ კაცი, რომელიც გამოდის მუშათა მასის წინაშე, ასე ლაპარაკობს, რათა უფრო გასაგები იყოს, რათა დაიწყოს თავისი აზრის გადმოცემა, რათა უფრო რეალურად გაუსვას ხაზი თავის შეხედულებას განუვითარებელი მასისათვის ყველაზე უფრო ჩვეული ტერმინებით. სხვა საქმეა, თუ მწერალი დაიწყებს «ღვთისმშენებლობის» ან ღვთისმშენებლობითი სოციალიზმის ქადაგებას (მაგალითად, ჩვენი ლუნა-ჩარსკისა და კომპანიისამებრ) <sup>9</sup>. რამდენადაც პირველ შემთხვევაში გაკიცხვა შეიძლებოდა ყოფილიყო შარის მოღება ან აგიტატორის თავისუფლების, «პედაგოგიური» ზემოქმედების თავისუფლების შესაბამო შეზღუდვაც კი, იმდენად მეორე შემთხვევაში პარტიული გაკიცხვა აუცილებელი და სავალდებულოა. დებულება: «სოციალიზმი არის რელიგია» ზოგიერთისათვის არის რელიგიიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმა, სხვებისათვის, — სოციალიზმიდან რელიგიაზე გადასვლის ფორმა.

გადავიდეთ ახლა იმ პირობებზე, რომლებმაც დასავლეთში წარმოშვეს ოპორტუნისტული განმარტება თეზისისა: «რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ». რა თქმა უნდა, არის აქ იმ საერთო მიზეზების გავლენა, რომლებიც წარმოშობენ ოპორტუნისტულ საერთოდ, როგორც წუთიერი სარგებლობისათვის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესების მსხვერპლად მიტანას. პროლეტარიატის პარტია ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ა ნ მოითხოვს გამოაცხადოს რელიგია კერძო საქმედ, მაგრამ ამავე დროს სრულიადაც არ თვლის «კერძო საქმედ» ხალხის ბანგთან, რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან და სხვა ასეთებთან ბრძოლის საკითხს. ოპორტუნისტები იმგვარად ამახინჯებენ საქმეს, თითქოს ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტია კერძო საქმედ თ ვ ლ ი დ ე ს რელიგიას!

მაგრამ გარდა ჩვეულებრივი ოპორტუნისტული დამახინჯებისა (რაც სრულიად არ არის განმარტებული კამათში, რომელსაც სათათბიროს ჩვენი ფრაქცია აწარმოებდა რელიგიის შესახებ გამოსვლის განხილვისას) არის განსაკუთრებული ისტორიული პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს თანამედროვე,

თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტი გულგრილობა ევროპელი სოციალ-დემოკრატებისა რელიგიის საკითხისადმი. ეს არის ორგვარი პირობები. ჯერ ერთი, რელიგიასთან ბრძოლის ამოცანა ისტორიულად არის რევოლუციური ბურჟუაზიის ამოცანა, და დასავლეთში ეს ამოცანა მნიშვნელოვნად შეასრულა ბურჟუაზიულმა დემოკრატამ (ან ასრულებდა) თავისი რევოლუციების ან ფეოდალიზმისა და შუასაუკუნეობრიობაზე თავისი იერიშების ეპოქაში. საფრანგეთშიც და გერმანიაშიც არის ტრადიცია რელიგიასთან ბურჟუაზიული ომისა, რომელიც სოციალიზმამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო (ენციკლოპედისტები, ფოიერბახი). რუსეთში, ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობების შესაბამისად, ეს ამოცანაც თითქმის მთლიანად ეკისრება მუშათა კლასს. წვრილბურჟუაზიულმა (ნაროდნიკულმა) დემოკრატამ ამ მხრივ ჩვენში არა თუ ბევრი რამ გააკეთა (როგორც ფიქრობენ ახლადმოვლენილი შავრაზმელი კადეტები ანუ კადეტი შავრაზმელები «ვეხი»-ში<sup>10</sup>), არამედ ძალიან ცოტა გააკეთა ევროპასთან შედარებით.

მეორე მხრივ, რელიგიასთან ბურჟუაზიული ომის ტრადიციამ მოასწრო შეექმნა ევროპაში ამ ომის სპეციფიკური ბურჟუაზიული დამახინჯება ანარქიზმის მიერ, რომელიც დგას, როგორც უკვე დიდი ხანია და მრავალჯერ განმარტეს მარქსისტებმა, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე, მიუხედავად მთელი თავისი «გააფთრებული» ლაშქრობისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ანარქისტებმა და ბლანკისტებმა რომანულ ქვეყნებში, მოსტმა (რომელიც, სხვათა შორის, დიურინგის მოწაფე იყო) და კომპანიამ გერმანიაში, ანარქისტებმა 80-იან წლებში ავსტრიაში *nes plus ultra* \*-მდე მიიყვანეს რევოლუციური ფრაზა რელიგიასთან ბრძოლაში. გასაკვირი არ არის, რომ ევროპული სოციალ-დემოკრატები ახლა გადაღუნავენ ხოლმე ანარქისტების მიერ მოღუნულ ჯოხს. ეს გასაგებია და, რამდენადმე, კანონიერიცაა, მაგრამ

\* — უაღრეს უკიდურესობამდე. რ ე ლ.



ჩვენ, რუს სოციალ-დემოკრატებს, არ გვმართებს 'დასავლეთის განსაკუთრებული ისტორიული პირობების დავიწყება.

მეორეც, დასავლეთში ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციების დამთავრების შემდეგ, სარწმუნოების მეტნაკლებად სრული თავისუფლების შემოდების შემდეგ, რელიგიასთან დემოკრატიული ბრძოლის საკითხი უკვე იმდენად იყო ისტორიულად მეორე რიგში მოქცეული ბურჟუაზიული დემოკრატიის ბრძოლით სოციალიზმთან, რომ ბურჟუაზიული მთავრობანი შეგნებულად ცდილობდნენ მასების ყურადღება სოციალიზმისაგან ჩამოეშორებინათ კლერიკალიზმის წინააღმდეგ **quas\*** — ლიბერალური «ლაშქრობის» მოწყობით. ასეთი ხასიათი ჰქონდა **Kulturkampf**-საც გერმანიაში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ბრძოლასაც კლერიკალიზმთან. ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმი, როგორც სოციალიზმისაგან მუშათა მასების ყურადღების ჩამოშორების საშუალება, — აი რა უსწრებდა წინ რელიგიასთან ბრძოლისადმი თანამედროვე «გულგრილობის» გავრცელებას დასავლეთის სოციალ-დემოკრატებში. და ეს ისევე და ისევე გასაგები და კანონიერია, ვინაიდან ბურჟუაზიული დაბისმარკული ანტიკლერიკალიზმისათვის სოციალ-დემოკრატებს უნდა დაეპირისპირებინათ სწორედ ის, რომ რელიგიასთან ბრძოლა დაქვემდებარებოდა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

რუსეთში სულ სხვა პირობებია. პროლეტარიატი არის ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი. მისი პარტია უნდა იყოს იდეური ბელადი ყოველგვარ შუასაუკუნეობრიობასთან, მათ შორის აგრეთვე ძველ, ოფიციალურ რელიგიასთან და მთელ იმ ცდებთან ბრძოლაში, რომელთა მიზანია მისი განახლება ან ხელახლა თუ სხვაგვარად დასაბუთება და ა. შ. ამიტომ, თუ ენგელსი შედარებით რბილად ასწორებდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმს, რომლებიც მუშათა პარტიის იმ მოთხოვნას, რომ სახელმწიფოს რელიგია, კერძო საქმედ გამოეცხადებინა, ცვლიდნენ თვით

\* — ვითომ. რ ე დ.

სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებით, — მით უმეტეს გასაგებია, რომ რუსი ოპორტუნისტების მიერ ამ გერმანული დამახინჯების გადმოღება ასკეცად უფრო მკაცრ გაკიცხვას დაიმსახურებდა ენგელსის მხრივ.

ჩვენი ფრაქცია, როცა მან სათათბიროს ტრიბუნიდან განაცხადა, რელიგია ხალხის ბანგიაო, სავსებით სწორად მოიქცა და, ამრიგად, შექმნა პრეცედენტი, რომელიც საფუძველი უნდა შეიქმნეს რუსი სოციალ-დემოკრატების ყველა გამოსვლისა რელიგიის საკითხზე. საჭირო იყო თუ არა უფრო შორს წასვლა და ათეისტური დასკვნების კიდევ უფრო დაწვრილებით განვითარება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ამას შეეძლო საფრთხე შეექმნა იმისა, რომ რელიგიასთან ბრძოლა გაეზვიადებინა პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიას; ამას შეეძლო გამოეწვია საზღვრის წაშლა რელიგიასთან ბურჟუაზიულ ბრძოლასა და სოციალისტურ ბრძოლას შორის. პირველი რამ, რაც უნდა შეესრულებინა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შავრაზმულ სათათბიროში, ღირსეულად იქნა შესრულებული.

მეორე — სოციალ-დემოკრატებისათვის თითქმის მთავარი — განმარტება ეკლესიის და სამღვდელოების კლასობრივ როლისა მუშათა კლასთან შავრაზმული მთავრობის და ბურჟუაზიის ბრძოლის მხარდაჭერაში — აგრეთვე ღირსეულად იქნა შესრულებული. რასაკვირველია, ამ თემაზე კიდევ ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას, — და სოციალ-დემოკრატები შემდგომ გამოსვლებში მოახერხებენ, თუ რით შეავსონ ამხ. სურკოვის სიტყვა, — მაგრამ მაინც მისი სიტყვა საუცხოო იყო, და ამ სიტყვის გავრცელება ყველა პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა.

მესამე — საჭირო იყო უაღრესად დაწვრილებით განგვემარტა სწორი აზრი გერმანელი ოპორტუნისტების მიერ ესოდენ ხშირად დამახინჯებული დებულებისა: «რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ». ეს, სამწუხაროდ, ამხ. სურკოვს არ გაუკეთებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ფრაქციის წინანდელ მოღვაწეობაში ამ საკითხზე უკვე დაშვებული იყო ამხ.

ბელოუსოვის შეცდომა, რაც თავის დროზე აღნიშნა «პროლეტარი»<sup>11</sup>. ფრაქციაში გამართული კამათი გვიჩვენებს, რომ დავამ ათეიზმის შესახებ დაჩრდილა ფრაქციის წინაშე საკითხი — სწორად ყოფილიყო გადმოცემული ყბადაღებული მოთხოვნა რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებისა. მთელი ფრაქციის ამ შეცდომისათვის ჩვენ მარტო ამხ. სურკოვს ვერ დავდებთ ბრალს. ეს ცოტაა. პირდაპირ ვაღიარებთ, რომ აქ არის ბრალი მთელი პარტიისა, რომელიც არასაკმაოდ განმარტავდა ამ საკითხს და რომელმაც სოციალ-დემოკრატების შეგნებაში არასაკმაოდ მოამზადა გერმანელი ოპორტუნისტების მისამართით ენგელსის მიერ გამოთქმული შენიშვნის მნიშვნელობის გაგება. ფრაქციაში გამართული კამათი ამტკიცებს, რომ ეს იყო საკითხის სწორედ ბუნდოვანი გაგება, და სრულიადაც არა ის, რომ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ მარქსის მოძღვრებისათვის; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეცდომა გამოსწორებული იქნება ფრაქციის შემდგომ გამოსვლებში.

საერთოდ და მთლიანად, ვიმეორებთ, ამხ. სურკოვის სიტყვა საუცხოოა და უნდა გაავრცელოს იგი ყველა ორგანიზაციაში. ამ სიტყვის განხილვით ფრაქციამ დაამტკიცა თავისი სოციალ-დემოკრატიული მოვალეობის სავსებით კეთილსინდისიერი შესრულება. ის დავგრჩენია ვისურვოთ, რომ კორესპონდენციები ფრაქციის შიგნით გამართული კამათის შესახებ უფრო ხშირად თავსდებოდეს პარტიულ პრესაში, რათა ფრაქცია დაუახლოვდეს პარტიას, რათა პარტია გაეცნოს ფრაქციის მძიმე შინაგან მუშაობას, რათა დამყარდეს იდეური ერთიანობა პარტიისა და ფრაქციის მოღვაწეობაში.

«პროლეტარი» № 45,  
1909 წ. 13 (26) მაისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით,  
გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 492 — 507.

## კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი

სახელმწიფო სათათბიროში გამართულმა კამათმა სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხზე, შემდეგ — იმ პირთა უფლებების აღდგენაზე, რომლებმაც სასულიერო წოდება დატოვეს, და, ბოლოს, «სტარობრიადულ» თემებზე უაღრესად საგულისხმო მასალა მოგვცა რუსეთის პოლიტიკური პარტიების დასახსნიათებლად რელიგიისა და ეკლესიისადმი მათი დამოკიდებულების მხრივ. ზოგადად გადავავლოთ თვალი ამ მასალას და შევჩერდეთ, უმთავრესად, სინოდის ხარჯთაღრიცხვის გამო გამართულ კამათზე (სტენოგრაფიული ანგარიშები ზემოთ აღნიშნულ სხვა საკითხებზე გამართული კამათის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია).

პირველი დასკვნა, რაც განსაკუთრებით გვხვდება თვალში სათათბიროს კამათის განხილვისას, ის არის, რომ მებრძოლი კლერიკალიზმი რუსეთში არათუ არსებობს, არამედ აშკარად ძლიერდება და უფრო და უფრო ირანხმება. 16 აპრილს მიტროფანე ეპისკოპოსმა განაცხადა: «სათათბიროში ჩვენი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო სწორედ იქითკენ, რომ ჩვენ, ხალხის მაღალი არჩევით პატივდებულნი, აქ, სათათბიროში, დავმდგარიყავით პარტიულ დაქსაქსულობაზე მაღლა და შეგვექმნა სამღვდელოების ერთი ჯგუფი, რომელიც ყოველ მხარეს გააშუქებდა თავისი ეთიკური თვალსაზრისით...»

რა არის მიზეზი, რომ ჩვენ ამ იდეალურ მდგომარეობამდე ვერ მივდით?... ბრალი მიუძღვით იმათ, ვინც თქვენთან ერთად» (ე. ი. კადეტებთან და «მემარცხენეებთან») «იყოფს ამ სკამებს, სახელდობრ, სამღვდლოების დეპუტატებს, რომლებიც ოპოზიციას ეკუთვნიან. მათ პირველებმა აღიმაღლეს თავისი ხმა და იწყეს ლაპარაკი, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა კლერიკალური პარტიის წარმოშობა, და რომ ეს მეტიმეტად არასასურველიაო. რა თქმა უნდა, რუსი მართლმადიდებელი სამღვდლოების კლერიკალიზმის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, — ამგვარი ტენდენციები ჩვენ არასოდეს არა გვქონია, და ჩვენ, როცა მოვისურვეთ ცალკე ჯგუფად გამოვყოფილიყავით, ვისახავდით წმინდა მორალურ, ეთიკურ მიზნებს, ახლა კი, ბატონებო, როცა ასეთი უთანხმოების გამო, რაც მემარცხენე დეპუტატებმა შეიტანეს ჩვენს ძმურ წრეში, დაყოფა და დაქუცმაცება მოხდა, ახლა თქვენ» (ე. ი. კადეტები) «ბრალს გვდებთ ჩვენ ამაში».

მიტროფანე ეპისკოპოსმა თავის უმეცარ სიტყვაში საიდუმლოება წამოაყრანტალა: მემარცხენეებს, თურმე, ბრალი მიუძღვით იმაში, რომ მათ სათათბიროს ხუცების ნაწილი ჩამოაშორეს განსაკუთრებული «მორალური» (ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულია ხალხის მოსატყუებლად, ვიდრე «კლერიკალური») ჯგუფის შექმნასაო!

თითქმის ერთი თვის შემდეგ, 13 მაისს, ეპისკოპოსმა ევლოდიმ სათათბიროში წაიკითხა «სათათბიროს სამღვდლოების დადგენილება»: «სათათბიროს მართლმადიდებელი სამღვდლოების უდიდესი უმრავლესობა ფიქრობს... რომ «მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესი და გაბატონებული მდგომარეობისათვის» არ არის დასაშვები არც ქადაგების თავისუფლება «სტაროობრიადელებისათვის», არც «სტაროობრიადული» თემების დაარსება განცხადების წესით, არც «სტაროობრიადელ» სასულიერო პირთათვის მღვდელმსახურთა სახელის წოდება. რუსი ხუცების «წმინდა მორალური თვალსაზრისი» სავსებით გამოაშკარავდა, როგორც წმინდა წყლის კლერიკალიზმი. სათათბიროს სამღვდლოების «უდიდესი უმრავლესობა», რომლის სახელითაც ეპისკოპოსი ევლოდი

ლაპარაკობდა, ალბათ, შესდგა მესამე სათათბიროს 29 მემარჯვენე და ზომიერად მემარჯვენე მღვდლისაგან და, იქნებ, კიდევ 8 ოქტიანბრისტი მღვდლისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ოპოზიციას მიემხრო პროგრესისტებისა და მშვიდობიანი განახლების ჯგუფის 4 მღვდელი და ერთიც პოლონელ-ლიტველთა ჯგუფიდან.

როგორია «სათათბიროს (უნდა დაემატოს — სამი იენისის სათათბიროს) სამღვდლოების უდიდესი უმრავლესობის წმინდა მორალური, ეთიკური თვალსაზრისი»? აი რამდენიმე ამონაწერი სიტყვებიდან: «მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ (ე. ი. საეკლესიო) გარდაქმნათა ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს ეკლესიის შიგნიდან, და არა გარედან, არა სახელმწიფოს მხრიდან, და, რა თქმა უნდა, არა საბიუჯეტო კომისიის მხრიდან. ეკლესია ხომ ღვთაებრივი და მარადი დაწესებულებაა, მისი კანონები ურყევეია, ხოლო სახელმწიფო ცხოვრების იდეალები, როგორც ცნობილია, მუდმივს ცვლილებებს განიცდიან» (ეპისკოპოსი ევლოდი, 14 აპრილი). ორატორი იგონებს «შემამფოთებელ ისტორიულ პარალელს»: საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას ეკატერინე II დროს. «ვის შეუძლია ითავდებოს, რომ საბიუჯეტო კომისია, რომელმაც წელს გამოთქვა სურვილი დაუმორჩილოს ისინი (საეკლესიო სახსრები) სახელმწიფო კონტროლს, შემდეგ წელს არ გამოთქვამს სურვილს გადარიცხოს ისინი საერთო-სახელმწიფო ხაზინაში, მერე კი სავსებითაც გადასცეს მათი გამგებლობა საეკლესიო ხელისუფლების ნაცვლად სამოქალაქო ანუ სახელმწიფო ხელისუფლებას?... ეკლესიის წესები გვეუბნებიან, რომ თუ ეპისკოპოსს მინდობილი აქვს ქრისტიანთა სული, მით უფრო უნდა მიენდოს საეკლესიო ქონება... ახლა თქვენს წინაშე (სათათბიროს დეპუტატების წინაშე) დგას თქვენი სულიერი დედა, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია, არა მარტო როგორც ხალხის წარმომადგენლების წინაშე, არამედ როგორც თავისი სულიერი შვილების წინაშეც» (იქვე).

ჩვენს წინაშეა წმინდა წყლის კლერიკალიზმი. ეკლესია შაღლა დგას სახელმწიფოზე, როგორც მარადი და ღვთაებრივი

მალა დგას დროებითზე, მიწიერზე. ეკლესია არ აპატიებს სახელმწიფოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას. ეკლესია მოითხოვს თავისთვის უპირველეს და გაბატონებულ მდგომარეობას. მისთვის სათათბიროს დეპუტატები არა მარტო — უფრო სწორად — არა იმდენად ხალხის წარმომადგენლები არიან, რამდენადაც «სულიერი შვილები».

ესენი ანაფორიანი მოხელეები კი არ არიან, როგორც თქვა სოციალ-დემოკრატმა სურკოვმა, არამედ ანაფორიანი მეტოხონი. ეკლესიის ფეოდალური პრივილეგიების დაცვა, შუასაუკუნეობრიობის ამკარა დაცვა — აი მესამე სათათბიროს სამღვდლოების უმრავლესობის პოლიტიკის არსი. ეპისკოპოსი ევლოდი სრულიადაც არ არის გამონაკლისი. გეპეცკიც მოთქვამს «სეკულარიზაციის», როგორც შეუწყნარებელი «შეურაცხყოფის» წინააღმდეგ (14 აპრილი). ხუცესი მაშევიჩი აცამტვერებს ოქტიბრისტულ მოხსენებას მისწრაფებისათვის — «შეარყიოს ის ისტორიული და კანონიკური ბურჯები, რომლებსაც ეყრდნობოდა და უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი საეკლესიო ცხოვრება». «გადაიყვანოს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრება და მოღვაწეობა კანონიკური გზიდან იმ გზაზე, რომელზედაც... ეკლესიის ნამდვილმა თავადებმა — ეპისკოპოსებმა — უნდა დაუთმონ მოციქულებისაგან შემკვიდრეობით მიღებული თითქმის ყველა თავისი უფლება ერისკაც თავადებს»... «ეს სხვა არაფერია, თუ არა... ხელყოფა სხვისი საკუთრებისა, ეკლესიის უფლებებისა და მისი ქონებისა». «მომხსენებელს ჩვენ მიყვებართ საეკლესიო ცხოვრების კანონიკური წყობილების დანგრევისაკენ, მას სურს დაუმორჩილოს მართლმადიდებელი ეკლესია, მთელი მისი სამეურნეო ფუნქციებით, სახელმწიფო სათათბიროს, ისეთ დაწესებულებას, რომელიც შედგება სულ სხვადასხვანაირი ელემენტებისაგან, ჩვენი სახელმწიფოს როგორც შეწყნარებულ, ისე შეუწყნარებელ სარწმუნოებათა ელემენტებისაგან» (14 აპრილი).

რუსი ნაროდნიკები და ლიბერალები დიდ ხანს ინუგეშებდნენ თავს, ანუ, უფრო სწორად, იტყუებდნენ თავს «თეო-

რიით», რომ რუსეთში არ არის ნიადაგი მებრძოლი კლერიკალიზმისათვის, «ეკლესიის თავადთა» ბრძოლისათვის საერო ხელისუფლებასთან და მისთ. სხვა ნაროდნიკულ და ლიბერალურ ილუზიებს შორის ჩვენმა რევოლუციამ ეს ილუზიაც გაჰფანტა. კლერიკალიზმი არსებობდა ფარული ფორმით, ვიდრე მთლიანად და ხელშეუხებლად არსებობდა თვითმპყრობელობა. პოლიციისა და ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობა «საზოგადოებისა» და ხალხის თვალისაგან ჰფარავდა კლასობრივ ბრძოლას საზოგადოდ, «ანაფორიან მებატონეთა» ბრძოლას «საზინღარ ბრბოსთან», კერძოდ. რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ბატონყმური თვითმპყრობელობის პირველმავე შენგრევამ ფარული აშკარა გახადა. როგორც კი პროლეტარიატმა და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე ელემენტებმა იწყეს სარგებლობა პოლიტიკური თავისუფლებით, მასების ორგანიზაციის თავისუფლებით, რომელიც მათ მოიპოვეს 1905 წლის დამლევეს, მაშინვე რეაქციული კლასებიც წაეპოტინენ დამოუკიდებელ და აშკარა ორგანიზაციას. ისინი სრული აბსოლუტიზმის დროს განსაკუთრებით აშკარად არ ირანძებოდნენ და არ გამოდიოდნენ არა იმიტომ, რომ სუსტნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერნი იყვნენ, — არა იმიტომ, რომ მათ ორგანიზაციისა და პოლიტიკური ბრძოლის უნარი არ შესწევდათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის სერიოზულ საჭიროებას. მათ არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მასობრივი მოძრაობა თვითმპყრობელობისა და მებატონეების წინააღმდეგ რუსეთში. მათ სავსებით ჰქონდათ იმის იმედი, რომ ბრბოს შესაკავებლად საკმარისი იყო მათრაზი. თვითმპყრობელობისათვის მიყენებულმა პირველმავე ჭრილობებმა აიძულეს სოციალური ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ თვითმპყრობელობას და საჭიროებენ მას, დღის სინათლეზე გამოსულიყვნენ. მასებთან, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ 9 იანვარი, 1905 წლის საგაფიცვო მოძრაობა და ოქტომბერ-დეკემბრის რევოლუცია, უკვე არ შეიძლება მ ა რ ტ ა ძველი მათრაზით



ბრძოლა. საჭიროა გამოსვლა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების სარბიელზე; საჭიროა, რათა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო აწყობდეს შავ რაზმებს და აჩაღებდეს უაღრესად თავაწყვეტილ დემაგოგიას; საჭიროა, რათა «ეკლესიის თავადებმა — ეპისკოპოსებმა» დამოუკიდებელ ძალად დარაზმონ რეაქციული სამღვდელთაობა.

მესამე სათათბირო და რუსეთის კონტრრევოლუციის მესამე სათათბიროს პერიოდი სწორედ იმით ხასიათდება, რომ რეაქციული ძალების ამ ორგანიზაციამ გარეთ გადმოხეთქა, დაიწყო საერთო-ნაციონალური მასშტაბით გაშლა, მოითხოვა განსაკუთრებული შავრაზმულ-ბურჟუაზიული «პარლამენტი». მებრძოლმა კლერიკალიზმმა თვალნათლივ დაგვანახა თავისი სახე, და რუსეთის სოციალ-დემოკრატის ახლა არა ერთხელ მოუხდება იყოს მეტვალყურე და მონაწილე კლერიკალური ბურჟუაზიის კონფლიქტებისა ანტიკლერიკალურ ბურჟუაზიასთან. თუ ჩვენი საერთო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ პროლეტარიატს დაირაზმოს ცალკე კლასად, რომელსაც შეეძლება გამოეყოს ბურჟუაზიულ დემოკრატის, მაშინ ამ ამოცანაში შედის, როგორც ნაწილი, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალების გამოყენება, მათ შორის სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაც, იმისათვის, რომ მასებს განემარტოთ სოციალისტური ანტიკლერიკალიზმის განსხვავება ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმისაგან.

ოქტიაბრისტებმა და კადეტებმა, რომლებიც გამოდიოდნენ III სათათბიროში უკიდურესი მემარჯვენეების წინააღმდეგ, კლერიკალებისა და მთავრობის წინააღმდეგ, უაღრესად გაგვიადვილეს ეს ამოცანა, რაკი ნათლად გვიჩვენეს ბურჟუაზიის დამოკიდებულება ეკლესიისა და რელიგიისადმი. კადეტებისა და, ეგრეთწოდებული, პროგრესისტების ლეგალური პრესა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს «სტარობრიადელების» საკითხს, იმას, რომ ოქტიაბრისტები კადეტებთან ერთად გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ, იმას, რომ ისინი თუნდაც მცირე რამეში «დადგნენ რეფორმების გზაზე», რომლებსაც 17 ოქტომბერს<sup>12</sup> შეგვპირდნენ. ჩვენ

გაცილებით უფრო გვანტერესებს საკითხის პრინციპული მხარე, ე. ი. საერთოდ ბურჟუაზიის დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი, თვით იმათი ჩათვლით, ვინც დემოკრატ-კადეტების სახელწოდებას ჩემულობს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ შედარებით კერძო საკითხმა — გაბატონებულ ეკლესიასთან «სტარობრიადელთა» შეტაკების საკითხმა, «სტარობრიადელებთან» დაკავშირებული და ნაწილობრივ მათზე პირდაპირ ფინანსურადაც დამოკიდებული ოქტიაბრისტების მოქმედების საკითხმა («გოლოს მოსკვი»<sup>13</sup>, როგორც ამბობენ, იცემა «სტარობრიადელთა» სახსრებით) — დაჩრდილოს ძირითადი საკითხი — ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესებისა და პოლიტიკის საკითხი.

დააკვირდით მიმართულებით ოქტიაბრისტის, ოქტიაბრისტთა ფრაქციიდან გამოსულ გრაფ უვაროვის სიტყვას. ის ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატ სურკოვის შემდეგ და მაშინვე უარს ამბობს დასვას საკითხი იმ პრინციპულ ნიადაგზე, რომელზედაც იგი დააყენა მუშათა დეპუტატმა. უვაროვი თავს ესხმის სინოდსა და ობერ-პროკურორს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა სურთ მიაწოდონ სათათბიროს ცნობები ზოგიერთ საეკლესიო შემოსავალზე და სამრევლოს თანხების ხარჯვის შესახებ. ასევე აყენებს საკითხს ოქტიაბრისტების ოფიციალური წარმომადგენელი კამენსკი (16 აპრილს), რომელიც მოითხოვს მრევლის აღდგენას «მართლმადიდებლობის განმტკიცების ინტერესებისათვის». ამ აზრს ავითარებს, ეგრეთწოდებული, «მემარცხენე ოქტიაბრისტი» კაპუსტინი: «თუ ჩვენ მიემართავთ ხალხის ცხოვრებას, — შესძახა მან, — მიემართავთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას, მაშინ ახლა, ამჟამად, ჩვენ დავინახავთ სავალალო მოვლენას — ირყევა რელიგიური ცხოვრება, ირყევა მოსახლეობის ზნეობრივი წყობილების უდიდესი ერთადერთი საფუძველი... რამ უნდა შესცვალოს ცოდვის ცნება, რამ უნდა შესცვალოს სინდისის კარნახი? ხომ შეუძლებელია, რომ ეს შესცვალოს კლასობრივი ბრძოლისა და ამა თუ იმ კლასის უფლებების ცნებამ. ეს სავალალო ცნებაა, რომელიც შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

და აი, იმ თვალსაზრისით, რომ რელიგია, როგორც ზნეობის საფუძველი, განაგრძობდეს არსებობას, მისაწვდომი იყოს მთელი მოსახლეობისათვის, საჭიროა, რათა ამ რელიგიის გამტარებელნი სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდნენო»...

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენელს სურს განამტკიცოს რელიგია, სურს განამტკიცოს რელიგიის გავლენა მასებზე, რადგან გრძნობს, რომ არასაკმარისნი, მოძველებულნი, მმართველი კლასებისათვის მავნებელნიც კი არიან «ანათორიანი მოხელენი», რომელნიც ძირს სცემენ ეკლესიის ავტორიტეტს. ოქტიაბრისტი იბრძვის კლერიკალიზმისა და პოლიციური მეურვეობის უკიდურესობათა წინააღმდეგ იმისათვის, რომ გაძლიერდეს რელიგიის გავლენა მასებზე, რომ შეიცვალოს ხალხის გამოყვეყნების თუნდაც რამდენიმე საშუალება, რომლებიც ძალიან ტლანქნი, ძალიან მოძველებულნი, ძალიან დახავსებულნი არიან და მიზანს ვერ აღწევენ, — უფრო დახვეწილი, უფრო სრულყოფილი საშუალებებით. პოლიციური რელიგია უკვე საკმარისი არ არის ხალხის გასასულელებლად, მოგვეციოთ უფრო კულტურული, განახლებული, უფრო მოხერხებული რელიგია, რომელიც შეძლებდა თვითმმართველ მრევლში მოქმედებასაო, — აი რას მოითხოვს კაპიტალი თვითმპყრობელობისაგან.

და კადეტი კარაულოვიც მთლიანად დგას სწორედ ამავე თვალსაზრისზე. ეს «ლიბერალური» რენეგატი (რომელიც «ნაროდნაია ვოლიადან» მემარჯვენე კადეტებთან გადაბარგდა) მოთქვამს «ეკლესიის დენაციონალიზაციის, ესე იგი საეკლესიო მშენებლობიდან ხალხის მასების, ერისკაცების, განდევნის» წინააღმდეგ. მას «შემზარავ» რამედ (ასეა სიტყვასიტყვით!) მიაჩნია, რომ მასები «ურწმუნონი ხდებიან». ის სავესებით მენშიკოვურად გაჰყვირის იმას, რომ «ეკლესიის უდიდეს თავისთავად ღირებულებას ფასი ეკარგება..., რაც უაღრესად საზიანოა არა მარტო საეკლესიო საქმისათვის, არამედ სახელმწიფოებრივი საქმისთვისაცაო. ის «ოქროს სიტყვებს» უწოდებს ურჯუკ ევლოდის საზიზღარ თვალთმაქცობას იმ თემაზე, რომ «ეკლესიის ამოცანა მარადია,

ურყევია და, მაშასადამე, ეკლესიის დაკავშირება პოლიტიკასთან შეუძლებელიაო». ის პროტესტს აცხადებს შავ რაზმთან ეკლესიის კავშირის წინააღმდეგ იმის გულისათვის, რომ ეკლესია «ახლანდელზე უფრო მეტი ძლიერებითა და დიდებით აკეთებდეს თავის დიად, წმინდა საქმეს ქრისტეს სულისკვეთებით — სიყვარულისა და თავისუფლების სულისკვეთებითაო».

ამხანაგი ბელოუსოვი ძალიან კარგად მოიქცა, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან დასცინა კარაულოვის ამ «ლირიკულ სიტყვებს». მაგრამ ასეთი დაცინვა ოდნავადაც და სრულიადაც არ არის საკმარისი. საჭირო იყო იმის გარკვევა, — და საჭირო იქნება პირველივე მარჯვე შემთხვევისას გავარკვიოთ სათათბიროს ტრიბუნიდან, — რომ კადეტების თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ოქტიაბრისტების თვალსაზრისს და გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ «კულტურული» კაპიტალის მისწრაფებას — რელიგიური ნარკოზით გააბრუნოს ხალხი ეკლესიური მოტყუების უფრო ოსტატური საშუალებებით, ვიდრე ის საშუალებებია, რომლებსაც მიმართავდა ძველი დროის რიგითი რუსი «მამაო».

ხალხი სულიერ მონობაში რომ იყოლიო, საჭიროა ეკლესიის ფრიად მჭიდრო კავშირი შავ რაზმთანაო, — ამბობდა პურიშკევიჩის პირით ველური მემამულე და ძველი დერჟიმორდა. ცდებით, ბატონებო, უპასუხებს მათ კარაულოვის პირით კონტრრევოლუციური ბურჟუა: თქვენ მხოლოდ საბოლოოდ ჩამოაშორებთ ხალხს რელიგიისაგან ასეთი საშუალებებით. ვიმოქმედოთ უფრო ჭკვიანად, უფრო ემმაკურად, უფრო ოსტატურად, — თავიდან მოვიცილოთ მეტისმეტად სულელი და უხეში შავრაზმელი, ბრძოლა გამოვუცხადოთ «ეკლესიის დენაციონალიზაციას», დავეწროთ დროშაზე ევლოდი ეპისკოპოსის «ოქროს სიტყვები», რომ ეკლესია პოლიტიკაზე მალღადგას, — მხოლოდ ასეთი მოქმედებით შევძლებთ ჩვენ გავასულელოთ ჩამორჩენილი მუშების თუნდაც ნაწილი და, მეტადრე, მეშხანები და გლეხები, შევძლებთ დავეხმაროთ განახლებულ ეკლესიას რომ მან, შეასრულოს თავისი «დიადი,

წმინდა საქმე» — ხალხის მასები სულიერ მონობაში იყო-  
ლიოსო.

ჩვენი ლიბერალური პრესა, თვით გაზეთი «რეჩიც», გაძ-  
ლიერებით კიცხავდა ამ ბოლო დროს სტრუვესა და კომპანიას,  
როგორც კრებულ «ვეხის» ავტორებს. მაგრამ კადეტთა პარ-  
ტიის ოფიციალურმა ორატორმა სახელმწიფო სათათბიროში,  
კარაულოვმა, ჩინებულად ამხილა სტრუვესი და კომპანიის ამ  
გაკიცხვისა და მათგან გამიჯვნის მთელი საზიზღარი თვალთ-  
მაქცობა. რაც კარაულოვსა და მილიუკოვს აზრად აქვთ, სტრუ-  
ვეს ენაზე აკერია. ლიბერალები სტრუვეს მხოლოდ იმიტომ  
კიცხავენ, რომ მან უცაბედად წამოაყრანტალა სიმართლე, რომ  
მან მეტისმეტად გამოამჟღავნა ფარული ზრახვები. ლიბერალები,  
რომლებიც კიცხავენ «ვეხს» და ისევე მხარს უჭერენ კადეტე-  
ბის პარტიას, ყოვლად უსინდისოდ ატყუებენ ხალხს, როცა  
გმობენ უცაბედად ნათქვამ გულახდილ სიტყვას და განა-  
გრძობენ სწორედ იმ საქმის კეთებას, რომელიც ამ  
სიტყვას შეესაბამება.

ტრუდოვიკების მოქმედებაზე განსახილველი საკითხების  
გარშემო სათათბიროში გამართული კამათის დროს ცოტა რამ  
შეიძლება ითქვას. როგორც ყოველთვის, გამოაშკარავდა მკა-  
ფიო განსხვავება ტრუდოვიკ-გლეხებსა და ტრუდოვიკ-ინტე-  
ლიგენტებს შორის, ამ უკანასკნელთა დასაძრახისად, რომელ-  
ნიც სავესებით მზად არიან მიჰყვნენ კადეტებს. გლეხმა როკოვ-  
მა, მართალია, თავისი სიტყვით გამოამჟღავნა მთელი თავისი  
პოლიტიკური შეუგნებლობა; მანაც გაიმეორა კადეტების  
უხამსობა იმის შესახებ, რომ რუსი ხალხის კავშირი ხელს  
უწყობს სარწმუნოების განმტკიცებას კი არა, არამედ დანგრე-  
ვასაო, მან ვერ შესძლო გადმოეცა რაიმე პროგრამა. სამაგი-  
ეროდ, როდესაც იგი ალაღმართლად მოჰყვა შიშველ, შეუღა-  
მაზებელ სიმართლეს სამღვდელოების მეხარკეობაზე, ხუცების  
წამგლეჯელობაზე, იმაზე, თუ როგორ მოითხოვენ ქორწინები-  
სათვის, გარდა ფულისა, «ბოთლ არაყს, საუზმეს და გირვანქა  
ჩაის, ხოლო ზოგჯერ ითხოვენ ისეთ რამეს,  
რომ ტრიბუნიდან ვერც კი ვბედავ ამის

თქმასაო» (16 აპრილი, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 2259),—შავრაზმულმა სათათბირომ ვერ მოითმინა, გაისმა ველური ღრიანცელი მემარჯვენეთა სკამებიდან. «რა აბუჩად აგდებაა? რა უმსგავსობაა?» — გაიძახოდნენ შავრაზმელები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ გლეხის უბრალო სიტყვა მეხარკეობაზე, სადაც მოყვანილი იყო რელიგიური წესების შესრულების «ნიხრები», უფრო მეტად არევოლუციურებს მასებს, ვიდრე ყოველგვარი თეორიული თუ ტაქტიკური ანტირელიგიური და ეკლესიის საწინააღმდეგო განცხადებანი. და ზუბრების ხროვამ, რომელიც იცავს თვითმპყრობელობას III სათათბიროში, დააშინა თავისი ლაქია, თავმჯდომარე მეიენდორფი, და აიძულა იგი სიტყვა წაერთმია როჟკოვისათვის (სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც შეუერთდა ზოგიერთი ტრუდოვიკი, კადეტი და სხვა, პროტესტი განაცხადეს თავმჯდომარის ასეთი საქციელის წინააღმდეგ).

ტრუდოვიკ-გლეხის როჟკოვის სიტყვამ, მისი უალრესი ელემენტარულობის მიუხედავად, საუცხოოდ გვიჩვენა მთელი ის უფსკრული, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, კადეტების მიერ რელიგიის თვალთმაქცურ, გაანგარიშებულ რეაქციულ დაცვასა და, მეორე მხრივ, გლეხის პრიმიტიულ, შეუგნებელ, რუტინულ რელიგიურობას შორის. რომ გლეხისა, რომლის ცხოვრების პირობები წარმოშობენ — მისი ნების წინააღმდეგ და მისი შეგნების დამოუკიდებლად — ნამდვილად რევოლუციურ გაბოროტებას მეხარკეობის წინააღმდეგ და შუასაუკუნეობრიობასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადყოფნას. კადეტები არიან წარმომადგენლები კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელსაც სურს განაახლოს და განამტკიცოს რელიგია ხალხის წინააღმდეგ. როჟკოვები არიან წარმომადგენლები რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიისა, რომელიც განუვითარებელი, შეუგნებელი, დაბეჩავებელი, დამოკიდებული და დაქსაქსულია, მაგრამ რომელიც ინახავს რევოლუციური ენერჯის ჯერ კიდევ სრულიად ამოუწურავ მარაგს მემამულეების, ხუცების, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინტელიგენტი-ტრუდოვიკი როზანოვი გაცილებით ნაკლებ შეუგნებლად უახლოვდებოდა კადეტებს, ვიდრე როჟკოვი. როზანოვმა შესძლო ეთქვა ზოგი რამ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფაზე, როგორც «მემარცხენეთა» მოთხოვნაზე, მაგრამ თავი ვერ შეიკავა რეაქციული, მეშინური ფრაზებისაგან «საარჩევნო კანონის შეცვლაზე იმ მიმართულებით, რომ სამღვდლოება მონაწილეობას არ იღებდეს პოლიტიკურ ბრძოლაში». რევოლუციურობა, რომელიც თავისთავად ამოხეთქს ხოლმე ტიპიური, საშუალო გლეხის გულიდან, როდესაც ის ჰყვება სიმართლეს თავის ყოფაცხოვრებაზე, ქრება ტრუდოვიკ-ინტელიგენტში და იცვლება ბუნდოვან, ზოგჯერ კი პირდაპირ საძაგელ ფრაზად. მესხედ და მეთათსედ ვხედავთ ჩვენ იმ ჭეშმარიტების დადასტურებას, რომ რუსი გლეხთა მასები მხოლოდ მაშინ შეძლებენ დაამხონ შემხუთავი და დამლუპველი უღელი — მიწათმფლობელი მებატონეების, ანაფორიანი მებატონეების, თვითმპყრობელობის მოტრფილე მებატონეების უღელი, თუ ისინი გაჰყვებიან პროლეტარიატს.

მუშათა პარტიისა და მუშათა კლასის წარმომადგენელმა სოციალ-დემოკრატიმა სურკოვმა მთელი სათათბიროდან მხოლოდ ერთმა აიყვანა მთელი კამათი ნამდვილ პრინციპულ სიმაღლეზე და მიუკიბ-მოუკიბავად თქვა, თუ როგორ უყურებს ეკლესიასა და რელიგიას პროლეტარიატი, როგორ უნდა უყურებდეს მას მთელი თანამიმდევარი და სიცოცხლისუნარიანი დემოკრატია. «რელიგია ხალხის ბანგია»... «არც ერთი კაცი ხალხის ფული ხალხის ამ მოსისხლე მტრებს, რომლებიც აბნელებენ ხალხის შეგნებას»,—სოციალისტის ეს პირდაპირი, გაბედული, აშკარა საბრძოლო მოწოდება გაისმა როგორც შავ-რაზმული სათათბიროს გამოწვევა; ამ მოწოდებამ გამოსხაურება ჰპოვა მილიონობით პროლეტარებში, რომლებიც გააფრცვლებენ მას მასებში, და შეძლებენ, როცა დრო დადგება, გადააქციონ იგი რევოლუციურ მოქმედებად.

«სოციალ-დემოკრატია» № 6,  
1909 წ. 4 (17) ივნისი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით,  
გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 508 — 519.

## ა. მ. გორაკის

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! აბა რას სჩადიხართ? — პირდაპირ საშინელებაა, ღმერთმანი!

გუშინ «რეჩში» წავიკითხე თქვენი პასუხი დოსტოევსკისათვის ატეხილ «ღრიანცელზე»<sup>14</sup> და მზად ვიყავი გამხარებოდა, დღეს კი მოდის ლიკვიდატორული გაზეთი და იქ დაბეჭდილია თქვენი სტატიის აბზაცი, რომელიც «რეჩში» არ ყოფილა.

ეს აბზაცი ასეთია:

«ღვთისმადიებლობა» კი **ღროებით** (მარტო ღროებით?) «უნდა გადადოთ, — ეს უსარგებლო საქმეა: სადაც არ დაგიდვია, იქ ნურას ეძებ. თუ არ დათესე, ვერც მოიშვი. თქვენ ღმერთი არა გყავთ, თქვენ **ჯერ**» (ჯერ!) «არ შეგიქმნიათ იგი. ღმერთებს არ ეძებენ, — მათ ქმნიან; ცხოვრებას კი არ იგონებენ, არამედ ქმნიან».

გამოდის, რომ თქვენ «ღვთისმადიებლობის» წინააღმდეგი მხოლოდ «ღროებით» ხართ!! გამოდის, რომ თქვენ ღვთისმადიებლობის წინააღმდეგი ხართ მხოლოდ იმისათვის, რომ იგი ღვთისმშენებლობით შეცვალოთ!!

განა საშინელება არ არის, რომ ასეთი რამ გამოგიდით?



ღვთისმადიებლობა ღვთისმშენებლობისაგან ან ღვთისმთხზვე-  
ლობა თუ ღვთისშემოქმედებისაგან და სხვ. სრულებითაც  
იმაზე უფრო არ განსხვავდება, ვიდრე ყვითელი ეშმაკი  
ლურჯი ეშმაკისაგან. ილაპარაკო ღვთისმადიებლობაზე არა იმი-  
სათვის, რომ გაილაშქრო **ყოველგვარი** ეშმაკებისა და  
ღმერთების წინააღმდეგ, ყოველგვარი იდეური ლეშთმავლო-  
ბის წინააღმდეგ (ყოველი ფუფალა ლეშთმავლობაა — თუნ-  
დაც ეს ყოვლად ფაქიზი, იდეალური, არა საძიებელი, არამედ  
საშენებელი ფუფალა იყოს, სულ ერთია), — არამედ იმისა-  
თვის, რომ ლურჯი ეშმაკი ამჯობინო ყვითელს, ეს ასჯერ უფრო  
ცუდია იმაზე, ვიდრე სულ არაფერი თქვა.

ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში, ისეთ ქვეყნებში, სადაც  
სრულიად უადგილოა მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა,  
საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი», — ასეთ ქვეყნებ-  
ში (ამერიკა, შვეიცარია და სხვ.) ხალხსა და მუშებს განსაკუთ-  
რებით გულმოდგინედ აჩლუნგებენ სწორედ ფაქიზი, სულიე-  
რი, საშენებელი ფუფალას იდეით. სწორედ იმიტომ, რომ ყო-  
ველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ყოველგვარ ფუფალას  
შესახებ, ყოველი თუნდაც ლაქუცობა ფუფალასთან ყოვლად  
წარმოუდგენელი სიბილწეა, რომელსაც განსაკუთრებით შემ-  
წყნარებლად (ხშირად კი კეთილმოსურნედაც) ხვდება დ ე მ ო კ -  
რ ა ტ ი უ ლ ი ბურჟუაზია, — სწორედ ამიტომ ეს ყველაზე სა-  
შიში სიბილწეა, ყველაზე საზიზღარი «სნებაა». მილიონობით  
ცოდვას, სისაძაგლეს, ძალადობას და ფ ი ზ ი კ უ რ სნებას გაცი-  
ლებით უფრო ადვილად გამოიცნობს ხალხი და ამიტომ გაცი-  
ლებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ფუფულას და ხ ვ ე წ ი ლ ი,  
სულიერი, ნაირნაირ «იდეურ» სამოსელში გახვეული იდეა.  
ქალიშვილების გამხრწნელი კათოლიკე ხუცესი (რომლის შე-  
სახებ ეს არის შემთხვევით წავიკითხე ერთ გერმანულ გაზეთ-  
ში), — გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ა დ საშიშია სწორედ «დემო-  
კრატიისათვის», ვიდრე უანაფორო ხუცესი, ხუცესი უხეში რე-  
ლიგიის გარეშე, იდეური და დემოკრატიული ხუცესი, რომელიც  
ფუფალას შექმნას და შენებას ქადაგებს. ეს იმიტომ, რომ  
პირველი ხუცესი ა დ ვ ი ლ ა დ შეიძლება ამხილო, დაგმო და

გაადლო, — მეორე კი არ შეიძლება ასე იოლად გაადლო, მისი მხილება 1 000-ჯერ უფრო ძნელია, მის «დაგმობას» არც ერთი «სუსტი და საცოდავად მერყევი» ობივატელი არ დათანხმდება.

და თქვენ, **მეშჩანური** (რუსული: რატომ რუსული? იტალიური უკეთესია თუ??) სულის «სისუსტეს და საცოდავ მერყეობას» რომ იცნობთ, ამ სულს აკრთობთ ყველაზე ტკბილ-ტკბილი შხამით, რომელიც ყველაზე მეტად დაფარულია შაქარყინულით და ყოველნაირი ზიზილ-პიპილებით!!

ღმერთმანი, ეს საშინელებაა.

«უკვე კმარა თავსლაფის დასხმა, რომელიც ჩვენში თვით-კრიტიკას ცვლის».

მერე და ღვთისმშენებლობა განა თავსლაფის დასხმის ყველაზე ცუდი სახე არ არის?? ყოველი ადამიანი, რომელიც ღვთის მშენებლობას ეწევა ან თუნდაც მხოლოდ დაუშვებს ასეთ მშენებლობას, ყველაზე უარესად ის ხამს თავსლაფს, ნაცვლად «მოქმედებისა» სწორედ თვით-მჭვრეტელობს, თავმომწონეობს, ამასთან ასეთი კაცი «ჭვრეტს» თავისი «მეს» ყველაზე ბინძურ, ჩღუნგ, მონურ თვისებებს თუ ნიშნებს, რომლებსაც ღვთისმშენებლობა აღმერთებს.

არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყოველი ღვთისმშენებლობა არის სწორედ თავმომწონეობითი თვითმჭვრეტელობა გონებაჩლუნგი მეშჩანობისა, სუსტი ობივატელობისა, იგი არის «სასოწარკვეთილ და დაღლილ» ფილისტერთა და წვრილ ბურჟუათა მეოცნებე «თავსლაფის დასხმა» (როგორც თქვენ ძალიან სწორად ბრძანეთ სულზე — ოღონდ «რუსულზე» კი არ უნდა გეთქვათ, არამედ მეშჩანურზე, ვინაიდან ებრაული, იტალიური, ინგლისური — სულ ერთი ჯანდაბაა, ბილწი მეშჩანობა ყველგან ერთნაირად საზიზღარია, ხოლო «დემოკრატიული მეშჩანობა», რომელიც იდეურ ლეშთმავლობას ეწევა, გაცილებით უფრო საზიზღარია).

თქვენს სტატიას დაკვირვებით რომ ვკითხულობ და ვცდილობ გ ა მ ო ვ ა რ კ ე ი ო, საიდან შეიძლებოდა გამოგსვლოდა ეს **მცდარი ნაწერი**, გაკვირვებას ვეძლევი. რა არის ეს? ნაშთები «აღსარებისა», რომელსაც თქვენ თ ვ ი თ ო ნ არ იწონებდით?? მისი გამოძახილი??

თუ სხვა რამ — მაგალითად, იმის უნაყოფო ცდა, რომ დაქვეითდეთ **საერთო-დემოკრატიულ** თვალსაზრისამდე ნაცვლად პ რო ლ ე ტ ა რ უ ლ ი თვალსაზრისისა? იქნებ «საერთოდ დემოკრატიასთან» საუბრისათვის თქვენ მოისურვებთ (მაპატიეთ ეს გამოთქმა) ჩიფჩიფი დაგეწყით, როგორც ბავშვებს ეჩიფჩიფებიათ? იქნებ ო ბ ი ვ ა ტ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს «პოპულარულად გადასაცემად» მოისურვებთ ერთი წუთით დაგეშვით **მისი** თუ **მათი**, ობივატელების, ცრუაზრები??

მაგრამ ეს ხომ ყოველი მნიშვნელობით და ყოველმხრივ ა რ ა ს წ ო რ ი ხერხია!

ზემოთ დავწერე, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ქვეყნებში: **სრულიად** უადგილო იქნებოდა პროლეტარული მწერლის მხრივ მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი». ჩვენში კი, რუსეთში?? ასეთი მიმართვა არც თუ მთლად სასურველია, ვინაიდან ისიც როგორღაც მამებელია ობივატელური ცრუაზრებისათვის. მიმართვა როგორღაც ზოგადია, ბუნდოვანი — ჩვენში «რუსსკაია მისლის»<sup>15</sup> თანამშრომელი იზგოვეიც კი ო რ ი ვ ე ხ ე ლ ს მოაწერს მას. მაშ რა საჭიროა ისეთი ლოზუნგების აღება, რომლებსაც, მართალია, **თქვენ** ჩინებულად გამოპყოფთ იზგოვეელობისაგან, **მაგრამ მკითხველი** ვერ შეძლებს გამოპყოს?? რა საჭიროა მკითხველისათვის თვალის ახვევა დემოკრატიული მარმაშით, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთისაგან ნ ა თ ლ ა დ განასხვაოთ მ ე შ ჩ ა ნ ე ბ ი (სუსტნი, საცოდავად მერყეენი, დაღლილნი, სასოწარკვეთილნი, თვითმჭვრეტელნი, ღვთისმჭვრეტელნი, ღვთისმშენებელნი, ღვთისმფარველნი, თავსლად დასხმულნი, უ ა ზ რ ო — ა ნ ა რ კ ი ს ტ უ ლ ნ ი — საუცხოო სიტყვაა!! და სხვანი და სხვანი) — და პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი (რომლებსაც უნარი შესწევთ მხნენი

იყენენ არა მარტო სიტყვით, უნარი შესწევთ განასხვაონ ბ უ რ-  
ქ უ ა ზ ი ის «მეცნიერება და საზოგადოებრიობა» თავიან-  
თისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარულიაგან)?  
რატომ შვრებით ამას?  
საშინლად საწყენია.

თქვენი ვ. ი.

P. S. დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ რომანი.  
მიიღეთ?

P. P. S. იმკურნალეთ უფრო სერიოზულად, ღმერთ-  
მანი, რათა ზამთარში მგზავრობა ისე შესძლოთ, რომ არ გა-  
ცვიდეთ (ზამთარში საშიშია).

თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

დაწერილია 1913 წ. შუა ნოემბერში.  
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება  
ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტიქსტის მიხედვით, გამოც. მე-4.  
ტ. 35, გვ. 113 — 117.

## ა. მ. გორაკის

საკითხში ღვთის, ღვთიურის და ყოველივე იმის შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებულია, თქვენ წინააღმდეგობა გამოგიდით — სწორედ ის წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, რომელსაც მე აღვნიშნავდი ჩვენს საუბრებში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს კაპრიზე: თქვენ კავშირი გასწყვიტეთ (ან თითქოს გასწყვიტეთ) «ვპერიოდლებთან», ისე რომ «ვპერიოდლებთან»<sup>16</sup> იდეური საფუძვლები ვერ შეგიმჩნევიათ.

ასეა ახლაც. თქვენ «შეწუხებული» ხართ, თქვენ «ვერ გავგიგიათ, როგორ გავგეპარათ სიტყვა დროებით» — ასე იწერებით — და ამავე დროს ღვთისა და ღვთისმშენებლობის იდეას იცავთ.

«ღმერთი ტომის, ერის, კაცობრიობის მიერ გამოშუშავებულ იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და აორგანიზებენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

ეს თეორია აშკარად დაკავშირებულია ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის თეორიასთან თუ თეორიებთან.

და იგი აშკარად არასწორი და აშკარად რეაქციულია. ქრისტიანი სოციალისტების («სოციალიზმის» ყველაზე ცუდი სახის და ყველაზე ცუდი მისი დამახინჯების) მსგავსად თქვენ ხმარობთ ხერხს, რომელიც (მიუხედავად თქვენი საუკეთესო განზრახვისა) იმეორებს ხუცობის ფანდს: ღვთის იდეიდან იდევენება ის, რასაც იგი ისტორიულად და ცხოვრე-

ბაში შეიცავს (სიბილწე, ცრუაზრები, ერთი მხრივ, სიბნელისა და დაბეჩავების და, მეორე მხრივ, ბატონყმობისა და მონარქიის კურთხევა), ამასთან ნაცვლად ისტორიული და ცხოვრებითი რეალობისა ღვთის იდეას ჩაერთვის გულკეთილი მეშჩანური ფრაზა (ღმერთი = «იდეებს, რომლებიც აღვიძებენ და აორგანიზებენ სოციალურ გრძნობებს»).

თქვენ ამით გინდათ «კეთილი და კარგი» თქვათ, აღნიშნოთ «სიმართლე-სამართლიანობა» და მისთანები. მაგრამ თქვენი ეს კეთილი სურვილი თქვენს პირად კუთვნილებად, სუბიექტურ «უწყინარ სურვილად» რჩება. რაკი თქვენ დასწერეთ, იგი მასაში წავიდა, და მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა თქვენი კეთილი სურვილით, არამედ საზოგადოებრივი ძალების თანაფარდობით, კლასთა ობიექტური თანაფარდობით. ამ თანაფარდობის მიხედვით გამოდის (თქვენი ნების წინააღმდეგ და თქვენი შეგნების დამოუკიდებლად), გამოდის ისე, რომ თქვენ შეალამაზეთ, დაშაქრეთ კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნიკოლოზ II-ისა და ბ-ნ სტრუვეების იდეა, ვინაიდან სინამდვილეში ღვთის იდეა მათ ეხმარება იმაში, რომ ხალხი მონობაში იყოლიონ. ღვთის იდეა რომ შეალამაზეთ, თქვენ ამით შეალამაზეთ ის ბორკილი, რომლითაც მათ შებოჭილი ჰყავთ უმეცარი მუშები და გლეხები. აი — იტყვიან ხუცები და კომპანია — რაკარგი და ღრმა იდეა არის ეს (ღვთის იდეა), როგორ აღიარებენ მას, ბ-ნო დემოკრატებო, «თქვენი» ბელადებიც კი, და ჩვენ (ხუცები და კომპანია) ამ იდეას ვემსახურებითო.

მართალი არ არის, რომ ღმერთი იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და აორგანიზებენ სოციალურ გრძნობებს. ეს ბოგდანოვის იდეალიზმია, რომელიც ჩქმალავს იდეების მატერიალურ წარმოშობას. ღმერთი (ისტორიულად და ცხოვრებაში) უწყინარეს ყოვლისა იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც წარმოშვა ადამიანის ჩლუნგმა დაბეჩავებამ გარეშე ბუნების მხრივაც და კლასობრივი ჩავჯრის მხრივაც, — იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც განამტკიცებენ ამ

დაბეჩავებას, აძინებენ კლასობრივ ბრძოლას. ისტორიაში იყო დრო, როცა, მიუხედავად ღვთის იდეის ასეთი წარმომობისა და ასეთი ნამდვილი მნიშვნელობისა, დემოკრატიისა და პროლეტარიატის ბრძოლა წარმოებდა ერთი რელიგიური იდეის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით.

მაგრამ ეს დროც დიდი ხანია წავიდა.

ახლა ევროპაშიც და რუსეთშიც ღვთის იდეის ყოველი, თუნდაც ყველაზე დახვეწილი, ყველაზე კეთილგანზრახული დაცვა ან გამართლება რეაქციის გამართლებაა.

მთელი თქვენი განსაზღვრა თავიდან ბოლომდე რეაქციული და ბურჟუაზიულია. ღმერთი = იმ იდეათა კომპლექსს, რომლებიც «აღვიძებენ და აორგანიზებენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახევენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

რატომ არის ეს რეაქციული? იმიტომ, რომ ალამაზებს ზოოლოგიის «ალაგმვის» ხუცურ-ბატონყმურ იდეას. სინამდვილეში «ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი» ღვთის იდეას როდი აულაგმავს, იგი ალაგმა პირველყოფილმა ჯოგმაც და პირველყოფილმა კომუნამაც. ღვთის იდეა ყოველთვის აძინებდა და აჩლუნგებდა «სოციალურ გრძნობებს», ცვლიდა ცოცხალს ლემით, ყოველთვის წარმოადგენდა მონობის (ყველაზე ცუდი, გამოუვალი მონობის) იდეას. ღვთის იდეა არასოდეს არ «აკავშირებდა პიროვნებას საზოგადოებასთან», არამედ ყოველთვის ბოჭავდა ჩაგრულ კლასებს მჩაგვრელთა ღვთიურობისადმი რწმენით.

თქვენი განსაზღვრა ბურჟუაზიულია (და არა მეცნიერული, არაისტორიული), ვინაიდან იგი იყენებს ხელაღებითს, ზოგად, საერთოდ «რობინზონულ» ცნებებს — და არა გარკვეული ისტორიული ეპოქის გარკვეულ კლასებს.

ერთია ველური ზირიანინის და სხვ. (აგრეთვე ნახევრად-ველურის) ღვთის იდეა და სულ სხვაა სტრუვესა და კომპანიისა. ორივე შემთხვევაში ეს იდეა ზურგს უმაგრებს კლასობრივ ბატონობას (და კლასობრივი ბატონობა ზურგს უმაგრებს ამ იდეას). «ხალხური» წარმოდგენა ფუფალაზე და

ფუფალურზე — ეს არის «ხალხური» სიჩლუნგე, დაბეჩავება, სიბნელე. სავსებით ისეთივე, როგორც «ხალხის წარმოდგენა» მეფეზე, ქაჯზე, ცოლების ცემა-ტყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ «ხალხის წარმოდგენას» ღმერთზე «დემოკრატიული» უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გამიგია.

ფილოსოფიურ იდეალიზმს რომ «ყოველთვის მხოლოდ პიროვნების ინტერესები აქვს მხედველობაში», ეს მართალი არ არის. დეკარტეს გასენდისთან შედარებით უფრო ჰქონდა მხედველობაში პიროვნების ინტერესები? თუ ფიხტესა და ჰეგელს ფოიერბახთან შედარებით?

რომ «ღვთისმშენებლობა ინდივიდუუმსა და საზოგადოებაში სოციალური საწყისების შემდგომი განვითარებისა და დაგროვების პროცესია», ეს პირდაპირ საშინელებაა! რუსეთში თავისუფლება რომ იყოს, თქვენ ხომ მთელი ბურჟუაზია ხოტბას შეგასხამდათ ასეთი რამეებისათვის, ამ წმინდა ბურჟუაზიული ტიპისა და ხასიათის სოციოლოგიისა და თეოლოგიისათვის.

ჯერჯერობით კმარა — წერილი ისედაც გამიჭიანურდა. კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი ვ. ი.

დაწერილია 1913 წ. დეკემბერში.  
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება  
ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით, გამოც. მე-4.  
ტ. 35, გვ. 118 — 121



## სიტყვა მუზა-ქალთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 19 ნოემბერს<sup>17</sup>.

(ყრილობის დელეგატი-ქალები ამხანაგ  
ლენინს ხანგრძლივი ტაშითა დაოვაციით  
შეხვდნენ.) ამხანაგებო, ზოგიერთი მხრივ პროლეტარუ-  
ლი არმიის ქალთა ნაწილის ყრილობას განსაკუთრებით დიდი  
ქნიშვნელობა აქვს, რადგან ქალები ყველა ქვეყანაში მეტად  
ძნელად ამოძრავდებოდნენ ხოლმე. არ შეიძლება მოხდეს სო-  
ციალისტური გადატრიალება, თუ მშრომელ ქალთა დიდი ნა-  
წილი საგრძნობ მონაწილეობას არ მიიღებს მასში.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ყველაზე მოწინავე ქვეყ-  
ნებშიც კი, ქალთა მდგომარეობა ისეთია, რომ ტყუილად კი არ  
უწოდებენ მათ შინაურ მონებს. არც ერთ კაპიტალისტურ  
სახელმწიფოში, ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაშიც კი, არ  
არის ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა.

საბჭოთა რესპუბლიკის ამოცანაა უწინარეს ყოვლისა მოს-  
კოს ქალების უფლებათა ყველა შეზღუდვა. ბურჟუაზიული  
სიბინძურის, დაჩაგრულობის, დაბეჩავებულობის წყარო —  
საგანქორწინებო პროცესი — საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიან-  
ნად მოსპო.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც არსებობს სრულიად  
თავისუფალი კანონმდებლობა განქორწინების შესახებ. ჩვენ

გამოვეციტ დეკრეტი, რომელმაც მოსპო ქორწინებით და ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის მდგომარეობის განსხვავება და მთელი რიგი პოლიტიკური შეზღუდვანი; არსად ასე სრულად არ არის განხორციელებული მშრომელ ქალთა თანასწორობა და თავისუფლება.

ჩვენ ვიცით, რომ ძველებური წესების მთელი სიმძიმე მუშათა კლასის ქალს აწევბა ტვირთად.

ჩვენმა კანონმა ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის, რაც ქალებს უუფლებოს ხდიდა. მაგრამ საქმე კანონი როდია. ჩვენში ქალაქად და საფაბრიკო-საქარხნო ადგილებში ამ კანონს ქორწინების სრული თავისუფლების შესახებ კარგად ითვისებენ, სოფლად კი ეს ხშირად ქალაღდზე რჩება. იქ დღემდე სჭარბობს საეკლესიო ქორწინება. ეს მიეწერება მღვდლების გავლენას, ამ ბოროტებასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ძველ კანონმდებლობასთან.

რელიგიურ ცრურწმენებს უაღრესად ფრთხილად უნდა ვებრძოლოთ, ბევრი ვნება მოაქვთ იმათ, ვისაც ამ ბრძოლაში რელიგიური გრძნობის შეუტრაცხყოფა შეაქვს. საჭიროა ვებრძოლოთ პროპაგანდის გზით, განათლების გზით. ბრძოლაში სიმწვავის შეტანით ჩვენ შეგვიძლია გავაბოროტოთ მასა; ასეთი ბრძოლა განამტკიცებს მასების დაყოფას რელიგიის პრინციპის მიხედვით, ჩვენი ძალა კი ერთიანობაა. რელიგიურ ცრურწმენათა ყველაზე ღრმა წყარო არის სიღატაკე და სიბნეღე; სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ.

ქალის მდგომარეობა დღემდე ისეთი რჩებოდა, რომ ამ მდგომარეობას მონურს უწოდებენ; ქალი დაბეჩავებუღია თავისი ოჯახური მეურნეობით, და ამ მდგომარეობიდან მისი ხსნა მხოლოდ სოციაღიზმს შეუძღია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ წვრიღი მეურნეობებიდან გადავალთ საერთოზე და მიწის საერთო დამუშავებაზე, მხოლოდ მაშინ მოხდება ქალთა სრული განთავისუფლება. ეს ამოცანა ძნელია, მაგრამ ახღა, როდესაც იქმნება ღარიბთა კომიტეტები, დგება ღრო, როდესაც სოციაღისტური რევოღუცია მტკიცდება.

მხოლოდ ახლა ირაზმება სოფლად მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი, და მათში, ღარიბთა ორგანიზაციებში, სოციალიზმი მკვიდრ საფუძველს იძენს.

წინათ ხშირად ყოფილა, რომ ქალაქი რევოლუციური ხდებოდა, შემდეგ კი სოფელი გამოდიოდა.

ახლანდელი გადატრიალება სოფელს ეყრდნობა, და ამაშია მისი ძალა და მნიშვნელობა. ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობენ მასში ქალები. საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ქალი დამოუკიდებლად ეწეოდეს თავის პროლეტარულ სოციალისტურ მუშაობას.

საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ძნელია იმდენად, რამდენადაც ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს სძულთ საბჭოთა რუსეთი და რამდენადაც ისინი აპირებენ ომს მის წინააღმდეგ იმისათვის, რომ მან აღანთო რევოლუციის ხანძარი მთელ რიგ ქვეყნებში და გაბედული ნაბიჯები გადადგა. სოციალიზმი-საქენ.

ახლა, როდესაც მათ სურთ გაანადგურონ რევოლუციური რუსეთი, უკვე თვითონ მათ ფეხთქვეშ იწვის ნიადაგი. თქვენ იცით, თუ როგორ იზრდება რევოლუციური მოძრაობა გერმანიაში; დანიაში მიმდინარეობს მუშების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. ძლიერდება რევოლუციური მოძრაობა შვეიცარიასა და ჰოლანდიაში. ამ პატარა ქვეყნებში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი განსაკუთრებით საგულისხმოა იმიტომ, რომ ამ ქვეყნებში ომი არ ყოფილა და იქ ყველაზე «სამართლებრივი» დემოკრატიული წესწყობილება არსებობდა. თუ ასეთი ქვეყნები ამოძრავდნენ, ეს გვინერგავს რწმენას, რომ რევოლუციური მოძრაობა მთელ მსოფლიოს ეღება.

დღემდე ქალი არავითარ რესპუბლიკას არ გაუთავისუფლებია. საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება მას. ჩვენი საქმე უძლე-

ველია, რადგან ყველა ქვეყანაში მხედრდება უძლეველი მუშათა კლასი. ეს მოძრაობა ნიშნავს უძლეველი სოციალისტური რევოლუციის ზრდას. (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი. მ ლ ე-რ ი ა ნ « ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს »).

საგაზეთო ანგარიში გამოქვეყნებულია

1918 წ. 20 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცაკის «იზვესტიაში» № 253

იბეჭდება

ვ. ი. ლენინის თხზულებათა.

ტექსტის მიხედვით, გამოც. № 4,

ტ. 28, გვ. 207 — 209.

## «რკპ(ბ) პროგრამის პროექტიდან»

### პროგრამის მუხლი რელიგიური ურთიერთობის დარგში

რელიგიის მიმართ რკპ პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ არ დაეჯერდეთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებულ გამოყოფას, ე. ი. იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოკრატია შეგვპირდა, მაგრამ არსად მთელ მსოფლიოში ბოლომდე არ მიუყვანია, რელიგიურ პროპაგანდასთან კაპიტალის მრავალნაირი ფაქტიური კავშირის გამო.

პარტია მიისწრაფვის სრულიად მოშალოს კავშირი ექსპლოატატორულ კლასებსა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, აგრეთვე ფაქტიურად გაათავისუფლოს მშრომელი მასები რელიგიური ცრურწმენისაგან, აწყობს რა ამისთვის უაღრესად ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ანტირელიგიურ პროპაგანდას. ამასთან საჭიროა მზრუნველობით ვერიდოთ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას, რასაც მოსდევს მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის განმტკიცება.

იბეჭდება

ვ. ი. ლენინის თხზულებათა  
ტექსტის მიხედვით, გამოც. მე-4,  
ტ. 29, გვ. 143.

## ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები

(სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური  
კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე)  
1920 წ. 2 ოქტომბერი<sup>18</sup>

(ლენინს მთელი ყრილობა მჭეხარე  
ოვაციით შეხვდა). ამხანაგებო, მე მინდა დღეს გესა-  
უბროთ თემაზე, თუ როგორია კომუნისტური ახალგაზრდობის  
კავშირის ძირითადი ამოცანები და, ამასთან დაკავშირე-  
ბით — როგორი უნდა იყოს საზოგადოდ ახალგაზრდობის ორ-  
განიზაციები სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამ საკითხზე მით უფრო უნდა შევჩერდეთ, რომ გარკვეული  
აზრით შეიძლება ითქვას: სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გა-  
დაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამო-  
ცანა. ვინაიდან ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც  
კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვე-  
ვაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული ძველი  
კაპიტალისტური ყოფაცხოვრების საფუძველთა მოსპობის  
ამოცანა. უკეთეს შემთხვევაში იგი შეძლებს გადაჭრას ისეთი  
საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანები, რომელიც  
პროლეტარიატსა და მშრომელ კლასებს დაეხმარებოდა თა-  
ვიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და შეექმნათ  
მტკიცე საძირკველი, რომელზედაც შეუძლია შენება მხოლოდ  
იმ თაობას, რომელიც მუშაობას იწყებს უკვე ახალ პირობებში,

ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობა აღარ არსებობს.

და აი, ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ახალგაზრდობის და კერძოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ სხვა ორგანიზაციათა ეს ამოცანები შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოგვეხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლონ.

გასაგებია, რომ ეს მხოლოდ «ერთი სიტყვაა». იგი ჯერ კიდევ არ გვაძლევს პასუხს მთავარ და ყველაზე არსებით კითხვებზე — რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ? აქ კი მთელი საქმე ის არის, რომ ძველი კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნასთან ერთად არ შეიძლება არ გარდაიქმნას და ძველებური დარჩეს იმ ახალ თაობათა სწავლა, აღზრდა და განათლება, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას შექმნიან. ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა. მხოლოდ მაშინ, თუ ძირფესვიანად გარდავიქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, ჩვენ შევძლებთ მივადწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების შექმნა. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმ საკითხზე, რა უნდა ვასწავლოთ და როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ, თუ მას ნამდვილად სურს გაამართლოს კომუნისტური ახალგაზრდობის სახელწოდება, და როგორ უნდა მოვამზადოთ იგი, რათა მან შეძლოს ბოლომდე ააშენოს და დაასრულოს ის, რაც ჩვენ დავიწყეთ.

მე უნდა გითხრათ, რომ, თითქოს, პირველი და ყველაზე უფრო ბუნებრივი პასუხი ის არის, რომ ახალგაზრდობის

კავშირმა და საზოგადოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

მაგრამ ეს პასუხი — «ისწავლოს კომუნიზმი» — მეტად ზოგადი პასუხია. რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ კომუნიზმი ვისწავლოთ? რა უნდა გამოვყოთ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შევიძინოთ? აქ ჩვენ მოგველის მრავალი საფრთხე, რომელიც ძალიან ხშირად იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი კომუნიზმის სწავლის ამოცანას არასწორად აყენებენ, ანდა როდესაც იგი მეტად ცალმხრივად აქვთ გაგებული.

ბუნებრივია, რომ პირველი შეხედვით ადამიანს ის აზრი ებადება, თითქოს კომუნიზმის სწავლა ნიშნავდეს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში. მაგრამ კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა მეტად უხეში და არასაკმარისი იქნებოდა. კომუნიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვისება იყოს, რაც კომუნისტურ შრომებში, წიგნაკებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მაშინ ძალიან ადვილად მივიღებდით კომუნისტურ მედავიტნეებს ან მკვებარებს, ეს კი ყოველ ნაბიჯზე ვნებას და ზიანს მოგვიტანდა, რადგან ეს ადამიანები, რომელნიც ისწავლიდნენ და გადაიკითხავდნენ იმას, რაც კომუნისტურ წიგნებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მთელი ამ ცოდნის შეერთების უნარს მოკლებული იქნებოდნენ და ვერ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს კომუნიზმი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ჩვენ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დაგვრჩა, — ეს არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან, ვინაიდან ჩვენ გვქონდა წიგნები, სადაც ყველაფერი საუცხოოდ იყო შეფერადებული, და ეს წიგნები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ უსაზიზღრეს თვალთმაქცურ სიცრუეს, რომელიც ყალბად გვიხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ამიტომ უბრალო მწიგნობრული შეთვისება იმისა, რაც ნათქვამია წიგნებში კომუნიზმის შესახებ, მეტისმეტად არასწორი



იქნებოდა. ახლა ჩვენს სიტყვებსა და სტატიებში არაა იმის უბრალო განმეორება, რასაც წინათ კომუნიზმის შესახებ ამბობდნენ, რადგან ჩვენი სიტყვები და სტატიები დაკავშირებულია ყოველდღიურ და ყოველმხრივ მუშაობასთან. მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არა ღირს, რადგან ის განაგრძობდა ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის, იმ ძველებურ გათიშვას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე საძაგელ თვისებას შეადგენდა.

კიდევ უფრო საშიში იქნებოდა, მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების შეთვისება რომ დაგვეწყო. თუ ჩვენ ამ საშიშროებას თავის დროზე ვერ შევიგნებდით და მთელ ჩვენს მუშაობას ამ საშიშროების მოსპობისაკენ არ მივმართავდით, მაშინ ნახევარი მილიონი თუ მილიონი ისეთი ადამიანის — ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალიშვილების — არსებობა, რომელნიც კომუნიზმის ასეთი შესწავლის შემდეგ თავისთავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მხოლოდ უდიდეს ზიანს მოუტანდა კომუნიზმის საქმეს.

აქ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: როგორღა უნდა შევავართოთ ყოველივე ეს კომუნიზმის შესასწავლად? რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან, ძველი მეცნიერებიდან? ძველი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს შექმნას ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მეცნიერებებს საზოგადოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მთლიანად სიცრუე იყო, ვინაიდან მთელი საზოგადოება ადამიანების კლასებად, ექსპლოატატორებად და ჩაგრულებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული და დაყრდნობილი. ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით გაქლენილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ. მათ ზრდიდნენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუა-

ზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებასა და უსაქმურ ცხოვრებას. ამიტომ, უარყავით რა ძველი სკოლა, ჩვენ ამოცანად დავისახეთ ავიღოთ მისგან მხოლოდ ის, რაც გვჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილ კომუნისტურ განათლებას მივალწიოთ.

აქ მე მივადექი ძველი სკოლის მიმართ იმ საყვედურს, იმ ბრალდებებს, რაც მუდამ გვესმის და რაც ხშირად სრულიად მცდარ გაგებას იწვევს. ამბობენ, ძველი სკოლა მედავითნეობის სკოლა, გეშვისა და ზუთხვის სკოლა იყო. ეს მართალია, მაგრამ მაინც უნდა შეგვეძლოს იმის გარჩევა, თუ რა იყო ძველ სკოლაში ცუდი და რა იყო სასარგებლო ჩვენთვის, უნდა შეგვეძლოს იქიდან იმის ამორჩევა, რაც საჭიროა კომუნიზმისათვის.

ძველი სკოლა მედავითნეობის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა. მაგრამ თქვენ უდიდეს შეცდომას ჩაიდენდით, თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანას შეეცდებოდით, თითქოს კომუნისტად გახდომა შეიძლებოდეს იმის შეუთვისებლად, რაც კაცობრიობის ცოდნას დაუგროვებია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების, კომუნისტური მეცნიერების დასკვნების შეთვისება, იმ ცოდნათა ჯამის შეუთვისებლად, რომელთა შედეგიცაა თვით კომუნიზმი. იმის ნიმუშს, თუ როგორ წარმოიშვა კომუნიზმი კაცობრიობის ცოდნათა ჯამიდან, წარმოადგენს მარქსიზმი.

თქვენ წაგიკითხავთ და გაგიგონიათ, რომ კომუნისტური თეორია, კომუნისტური მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მარქსის მიერ არის შექმნილი, მარქსიზმის ეს მოძღვრება აღარ არის XIX საუკუნის ერთი, თუნდაც გენიალური, სოციალისტის შემოქმედება, რომ ეს მოძღვრება იქცა მთელი მსოფლიოს მილიონობით და ათეულ მილიონობით პროლეტართა მოძღვრებად, რომელნიც ამ მოძღვრებას იყენებენ თავიანთ

ზრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და თქვენ რომ ასეთი კითხვა დაგესვათ: რატომ შეძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე რევოლუციური კლასის მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა, — მიიღებდით ერთადერთ პასუხს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის მტკიცე საძირკველს; შეისწავლა რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები, მარქსმა გაიგო გარდუვალობა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ, და, რაც მთავარია, მარქსმა ეს მხოლოდ იმით დაამტკიცა, რომ უაღრესად ზუსტად, უაღრესად დეტალურად, უაღრესად ღრმად შეისწავლა ეს კაპიტალისტური საზოგადოება, სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოჭილ ადამიანებს.

ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ჩვენ, მაგალითად, პროლეტარულ კულტურაზე ვლაპარაკობთ. თუ ნათლად არ შევიგნეთ ის, რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანდაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხე-

ლური საზოგადოების უღელქვეშ. ყველა ამ გზასა და ბილიკს მიეყავდით, მიეყავართ და კვლავაც მიგვიყვანს პროლეტარულ კულტურასთან ისევე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებული პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე.

როცა ჩვენ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შორისაც და ახალი განათლების ზოგიერთ დამცველთა შორისაც ხშირად გვესმის ძველი სკოლის ძაგება — ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყო, ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში კარგი იყო. ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავეკმაყოფილდეთ კომუნისტური დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლებელია.

ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნიზმი უშინაარსობად გადაიქცევა, ცარიელ აბრად გადაიქცევა, კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვებარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუდგეთ, კი არ დატვირთოთ თქვენი გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყო თანამედროვე განათლებული ადამიანი. კომუნისტმა რომ განიზრახოს კომუნიზმით ტრაბახი მზამზარეულად მიღებული დასკვნების საფუძველზე

უაღრესად სერიოზული, ძნელი და დიდი მუშაობის გაუწევლად, იმ ფაქტებში გაურკვეველად, რომელთაც ის ვალდებულა კრიტიკულად მოეპყრას, — ასეთი კომუნისტი მეტად შესაბრალისი იქნებოდა. და ასეთი ზერელობა პირდაპირ დამღუბველი იქნებოდა. თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივალწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა.

ძველი სკოლა ქმნიდა კაპიტალისტებისათვის საჭირო მსახურს, ძველი სკოლა მეცნიერების მუშაობებს ისეთ ადამიანებად აქცევდა, რომელთაც ისე უნდა ეწერხათ და ელაპარაკნათ, როგორც კაპიტალისტებს ნებავდათ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეს სკოლა თავიდან უნდა მოვიშოროთ. მაგრამ ჩვენ თუ ის თავიდან უნდა მოვიშოროთ, ჩვენ თუ ის უნდა დავანგრიოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არ უნდა ავიღოთ მისგან ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დაუგროვებია ადამიანთათვის საჭირო? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ვერ უნდა გავარჩიოთ, რა იყო საჭირო კაპიტალიზმისათვის და რა არის საჭირო კომუნისტებისათვის?

ძველებური წვრთნის ნაცვლად, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ტარდებოდა უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ჩვენ ვაყენებთ მუშებისა და გლეხების შეგნებულ დისციპლინას, რომელნიც ძველი საზოგადოებისადმი სიძულვილთან აერთებენ გამბედაობას, უნარსა და მზადყოფნას — გააერთიანონ და დარაზმონ ძალები ამ ბრძოლისათვის, რათა დაქსაქსული, დაქუცმაცებული, უზარმაზარი ქვეყნის სივრცეზე გაფანტული მილიონებისა და ასეული მილიონების ნებისყოფისაგან შექმნან ერთიანი ნებისყოფა, ვინაიდან ეს ერთიანი ნებისყოფა თუ არ იქნა, ისე ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებით. თუ არ იქნა მუშათა და გლეხთა ეს დარაზმულობა, ეს შეგნებული დისციპლინა, ისე ჩვენი საქმე უიმედოა. უამისოდ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებისა და მემამულეების დამარცხებას ჩვენ ვერ შევძლებთ. უამისოდ ჩვენ საძირკველსაც კი ვერ დავამაგრებთ, არათუ ახალ, კომუნისტურ საზოგადოე-

ზას ავაშენებთ ამ საძირკველზე. ამნაირადვე, როცა ჩვენ უარვყოფთ ძველ სკოლას, როცა ვგრძნობთ სრულიად კანონიერ და აუცილებელ სიძულვილს ამ ძველი სკოლისადმი, როცა ვაფასებთ ძველი სკოლის დანგრევისათვის მზადყოფნას, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ძველი სწავლის, ძველი ზეპირობის, ძველი წვრთნის ნაცვლად უნდა დავაყენოთ უნარი კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნისში რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენ მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით.

აი როგორ უნდა დავაყენოთ ძირითადი ამოცანები, როცა კომუნისშის შესწავლის ამოცანაზე ვლაპარაკობთ.

ეს რომ განვიმარტოთ და ამავე დროს იმ საკითხს მივუახლოვდეთ, თუ როგორ ვისწავლოთ, მე ავიღებ პრაქტიკულ მაგალითს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენს წინაშე სამხედრო ამოცანების, რესპუბლიკის დაცვის ამოცანების შემდეგ მაშინვე სამეურნეო ამოცანა დგება. ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, თუ არ აღვადგინეთ მრეწველობა და მიწათმოქმედება, ამასთანავე ისინი უნდა აღვადგინოთ არა ძველებურად, ისინი უნდა აღვადგინოთ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ თანამედროვე საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ეს საფუძველი ელექტრობაა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ყველა დარგის ელექტროფიკაცია მოხდება, როცა თქვენ ამ ამოცანას აითვისებთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ააშენოთ თქვენთვის ის კომუნისტური საზოგადოება, რომლის აშენებას ვერ შეძლებს ძველი თაობა. თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისა და მრეწველობისა და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა. თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ელექტრიფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი

არ გამოდგება, და აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ, თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ, ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ისწავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას. აი რა ამოცანა დგას ყოველი შეგნებული კომუნისტის, ყოველი ახალგაზრდა ადამიანის წინაშე, რომელიც თავს კომუნისტად თვლის და რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში შესვლით მან იკისრა ამოცანა — დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის შენებაში და დაეხმაროს მთელ ახალგაზრდა თაობას კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. მან უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შეუძლია მას ამის შექმნა, და თუ მას ეს განათლება არ ექნება, კომუნიზმი მარტო სურვილად დარჩება.

წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის კრიტიკა, მასებში მისდამი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების, თავისი ძალების დარაზმვის უნარის განვითარება. ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამოცანა დგას. არ კმარა, რომ მთელი თქვენი ძალები უნდა გააერთიანოთ, რათა მხარე დაუჭიროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. ეს თქვენ ჩინებულად გაიგეთ, ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი კომუნისტს. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ უნდა ააშენოთ კომუნისტური საზოგადოება. საქმის პირველი ნახევარი მრავალი მხრივ გაკეთებულია. ძველი დანგრეულია, ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოდგენს ნანგრევებს. ისე, როგორც საჭირო იყო მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება. თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვე-

ტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

აი თქვენი ამოცანა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეთ თქვენ მთელი ახალგაზრდა თაობის განათლების, აღზრდის, ამალღების საქმეში. თქვენ უნდა იქნეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელნი იმ მილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი. თუ კომუნიზმის ამ მშენებლობაში არ იქნა ჩაბმული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მთელი მასა, ისე თქვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ.

აქ მე ბუნებრივად ვუახლოვდები იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ კომუნიზმი, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი ხერხების თავისებურება.

აქ უწინარეს ყოვლისა კომუნისტური მორალის საკითხზე შევჩერდები.

თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

მაგრამ არსებობს თუ არა კომუნისტური მორალი? არსებობს თუ არა კომუნისტური ზნეობა? რა თქმა უნდა, არსებობს. ხშირად საქმეს ისე წარმოიდგენენ, თითქოს ჩვენ არ გვექონდეს ჩვენი მორალი, და ძალიან ხშირად ბურჟუაზია ბრალს გვდებს, თითქოს ჩვენ, კომუნისტები, უარვყოფდეთ



ყოველგვარ მორალს. ეს ცნებათა აღრევის ხერხია, მუშებისა და გლეხებისათვის თვალის ახვევია.

რა აზრით უარვყოფთ ჩვენ მორალს, უარვყოფთ ზნეობას?

იმ აზრით, რა აზრითაც ქადაგებდა მას ბურჟუაზია, რომელსაც ეს ზნეობა ღვთის ნებიდან გამოყავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ვამბობთ, რომ ღმერთი არა გეწამს, და ძალიან კარგად ვიცით, რომ ღვთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდლოება, ლაპარაკობდნენ მემამულენი, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა გაეტარებინათ თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები. ანდა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მორალი გამოეყვანათ ზნეობის კარნახიდან, ღვთის ნებიდან, მათ ის გამოჰყავდათ იდეალისტური თუ ნახევრადიდეალისტური ფრაზებიდან, რომლებიც ყოველთვის იმასვე ნიშნავდა, რაც ძალიან მიაგავს ღვთის ნებას.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ასეთ ზნეობას, რომელიც აღებულია გარე შეკაცობრიული, გარე შეკლასობრივი ცნებიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოტყუებაა, გაბრყუებაა, მუშათა და გლეხთა ჭკუის დაჩლუნგებაა მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან.

ძველი საზოგადოება ემყარებოდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ ყველა მუშისა და გლეხის ჩაგვრას. ჩვენ ეს უნდა დაგვეზარია, საჭირო იყო ჩამოგვეგდო ისინი, მაგრამ ამისთვის საჭიროა გაერთიანების შექმნა. ღმერთი ასეთ გაერთიანებას ვერ შექმნის.

ასეთი გაერთიანება შეეძლოთ შეექმნათ მხოლოდ ფაბრიკებს, ქარხნებს, მხოლოდ პროლეტარიატს, გაწვრთნილს და დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულს. მხოლოდ მაშინ, როცა ეს კლასი შეიქმნა, მხოლოდ მაშინ დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელსაც მოჰყვა ის, რასაც ახლა ვხედავთ: პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვე-

ყანაში, რომელიც სამი წელიწადია თავს იცავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის შემოტევისაგან. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება პროლეტარული რევოლუცია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ახლა გამოცდილების საფუძველზე ვამბობთ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო შეექმნა ისეთი დარაზმული ძალა, რომელსაც მიჰყვება დაქსაქსული, დაქუცმაცებული გლეხობა და რომელმაც გაუძლო ექსპლოატატორთა ყველა შემოტევას. მხოლოდ ამ კლასს შეუძლია დაეხმაროს მშრომელ მასებს — გაერთიანდნენ, შეკავშირდნენ და საბოლოოდ დაიცივან, საბოლოოდ განამტკიცონ კომუნისტური საზოგადოება, საბოლოოდ ააშენონ იგი.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებულად ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ეს მოტყუებაა. ჩვენთვის ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კლასობრივი ბრძოლა? უსაა — მეფის ჩამოგდება, კაპიტალისტების ჩამოგდება, კაპიტალისტთა კლასის მოსპობა.

ხოლო რა არის კლასები საერთოდ? ეს ისაა, რაც საზოგადოების ერთ ნაწილს საშუალებას აძლევს მიითვისოს მეორე ნაწილის შრომა. თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ითვისებს მთელ მიწას, მაშინ ჩვენ გვყავს მემამულეთა და გლეხთა კლასები. თუ საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს ფაბრიკები და ქარხნები, აქვს აქციები და კაპიტალი, ხოლო მეორე ნაწილი მუშაობს ამ ფაბრიკებში, — მაშინ ჩვენ გვყავს კაპიტალისტთა და პროლეტართა კლასები.

მეფის გაგდება ძნელი არ იყო, — ამას სულ რამდენიმე დღე დასჭირდა. ძალიან ძნელი არ იყო მემამულეების გაგდება, — ეს შეიძლებოდა რამდენიმე თვეში გაკეთებულიყო; ძალიან ძნელი არც კაპიტალისტების გაგდებაა. მაგრამ კლასების მოსპობა შეუდარებლად უფრო ძნელია; მუშებად და გლეხებად დაყოფა ისევ დარჩენილია. თუ გლეხი ზის მიწის ცალკე ნაკვეთზე და ითვისებს ზედმეტ პურს, ე. ი. პურს, რომელიც არ ჭჭირდება არც მას, არც მის პირუტყვს, ხოლო ყველა დანარჩენი

უპუროდ რჩება, — მაშინ გლეხი უკვე ექსპლოატატორი ხდება. რაც უფრო მეტ პურს იტოვებს ის, მით უფრო ხელსაყრელია მისთვის, სხვებმა კი დაე იშიშვილონ: «რაც უფრო მეტს შიშვილობენ ისინი, მით უფრო ძვირად გავყიდი ამ პურსო». საჭიროა, რათა ყველა მუშაობდეს ერთი საერთო გეგმით საერთო მიწაზე, საერთო ფაბრიკებსა და ქარხნებში და საერთო განრიგით. მერედა, ადვილია ამის გაკეთება? თქვენ ხედავთ, რომ აქ საქმის მოგვარება ისე ადვილი არ არის, როგორც მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების გაგდება. აქ საჭიროა, რათა პროლეტარიატმა ხელახლა აღზარდოს, გარდაქმნას გლეხების ნაწილი, თავის მხარეზე გადმოიყვანოს ისინი, ვინც მშრომელი გლეხებია, რათა მოსპოს იმ გლეხების წინააღმდეგობა, რომელნიც მდიდრები არიან და ჯიბეს ისქელებენ დანარჩენების გაჭირვებით. მაშასადამე, პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმით, რომ მეფე ჩამოვაგდეთ, მემამულეები და კაპიტალისტები განვდევენთ, და სწორედ მის დამთავრებაში მდგომარეობს იმ წყობილების ამოცანა, რომელსაც ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას ვუწოდებთ.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება; მან მხოლოდ თავისი ფორმები შეიცვალა. ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იმისათვის, რომ ძველი ექსპლოატატორები ვეღარ დაბრუნდნენ, რომ ერთ კავშირში გაერთიანდეს შეუგნებელი გლეხობის დაქსაქსული მასა. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და ჩვენი ამოცანაა მთელი ინტერესები დავემორჩილოთ ამ ბრძოლას. და ჩვენც ამ ამოცანას ვუმორჩილებთ ჩვენს კომუნისტურ ზნეობას. ჩვენ ვამბობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის.

კომუნისტური ზნეობა — ეს ის ზნეობაა, რომელიც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყოველგვარი წვრილი საკუთრების წინააღმდეგ, ვინაიდან წვრილი საკუთრება

ერთ პიროვნებას აძლევს იმას, რაც მთელი საზოგადოების ურომას შეუქმნია. მიწა ჩვენში საზოგადო საკუთრებად ითვლება.

მაგრამ თუ მე ამ საზოგადო საკუთრებიდან განსაზღვრულ ნაკვეთს ვიღებ, მომყავს მასზე ორჯერ მეტი პური, ვიდრე მესაჭიროება, და ნაჭარბი პურით სპეკულაციას ვეწევი? თუ მე ვმსჯელობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება მშვიერი, მით უფრო მეტს მომცემენ? განა მაშინ მე ისე ვიქცევი, როგორც კომუნისტი? არა, ისე ვიქცევი, როგორც ექსპლოატატორი, როგორც მესაკუთრე. ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ამას ასე დავტოვებთ, მაშინ ყველაფერი უკან დაქანდება, კაპიტალისტების ძალაუფლებისაკენ, ბურჟუაზიის ძალაუფლებისაკენ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წინანდელ რევოლუციებში. და შეუძლებელი რომ გავხადოთ კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების კვლავ აღდგენა, ამისათვის საჭიროა აღარ დავუშვათ ჩარჩობა, ამისათვის საჭიროა, რათა ცალკე პირები არ მდიდრდებოდნენ დანარჩენების ხარჯზე, ამისათვის საჭიროა, რათა მშრომელნი მჭიდროდ შეუკავშირდნენ პროლეტარიატს და შეადგინონ კომუნისტური საზოგადოება. სწორედ ეს არის მთავარი თავისებურება იმისა, რაც კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა და ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს.

ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, — ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს.

თუ მე მეურნეობას ვეწევი ამ ნაკვეთ მიწაზე, სხვას აღარავის დავეძებ; თუ სხვა იშვილებს, მით უკეთესია, — უფრო

ქვირად გავყიდი ჩემს პურს. თუ მე მაქვს ჩემი ადგილი, როგორც ექიმს, ინჟინერს, მასწავლებელს, მოსამსახურეს, — სხვას აღარავის დავეძებ. ძლიერთათვის ხელის შეწყობით, მათი გულის მოგებით იქნებ შევინარჩუნო ჩემი ადგილი, დავწინაურდე კიდევ, ბურჟუა გავხდე. ასეთი ფსიქოლოგია და ასეთი სულისკვეთება შეუძლებელია კომუნისტს ჰქონდეს. როდესაც მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით შეგვიძლია თავი დავიცვათ და ახალი საზოგადოება შევქმნათ, აი სწორედ მაშინ დაიწყო ახალი კომუნისტური აღზრდა, აღზრდა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღზრდა პროლეტარიატთან კავშირში, ეგოისტებისა და წვრილი მესაკუთრეების წინააღმდეგ, იმ ფსიქოლოგიისა და იმ ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელიც ამბობს: მე ჩემს მოგებას ვესწრაფვი, დანარჩენთან კი არა მესაქმება რაო.

აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა სწავლობდეს კომუნიზმს მოზარდი ახალი თაობა.

მას მხოლოდ იმით შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტართა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. როდესაც გველაპარაკებიან ზნეობის შესახებ, ჩვენ ვამბობთ: კომუნისტისათვის მთელი ზნეობა ამ შეკავშირებულ სოლიდარულ დისციპლინაში და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეგნებულ მასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს. ჩვენ მარადიული ზნეობა არა გვწამს და ვააშკარავებთ ზნეობის შესახებ ყოველგვარი ზღაპრების სიცრუეს. ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან.

ამის განსახორციელებლად საჭიროა ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც შეგნებულ ადამიანებად გახდომა იწყოს ბურჟუაზიისთან თავგანწირული დისციპლინირებული ბრძოლის პირობებში. ამ ბრძოლაში აღზრდის ის ნამდვილ კომუნისტებს, ამ ბრძოლას უნდა დაუმორჩილოს და დაუკავშიროს მან ყოველი ნაბიჯი თავისი სწავლის, განათლებისა და

აღზრდის საქმეში. კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას მოასმენინონ ყოველგვარი დამატკბობელი სიტყვები და წესები ზნეობის შესახებ. ეს არ არის აღზრდა. როდესაც ადამიანები ხედავდნენ, როგორ გმინავდნენ მათი მამები და დედები მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელქვეშ, როცა ისინი თვითონ მონაწილეობდნენ იმ ტანჯვა-წვალებაში, რომელიც თავს ატყუებოდა იმათ, ვინც ბრძოლას იწყებდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როცა ისინი ხედავდნენ, თუ რაოდენ მსხვერპლს მოითხოვდა ამ ბრძოლის განგრძობა მონაპოვრის შესანარჩუნებლად, რა გააფთრებულ მტერს წარმოადგენენ მემამულენი და კაპიტალისტები, — მაშინ ამგვარ პირობებში ეს ადამიანები კომუნისტებად იზრდებიან. კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის! კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის საფუძველიც. აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ რანაირად უნდა ვისწავლოთ კომუნიზმი.

ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი. სანამ მუშები და გლეხები დაჩაგრული არიან მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ, სანამ სკოლები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია, ახალგაზრდა თაობა ბრმა და ბნელი რჩება. ჩვენი სკოლა კი ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს ცოდნის საფუძვლებს, აძლევდეს უნარს თვითონ შეიმუშაოს კომუნისტური შეხედულებანი, უნდა ჰქმნიდეს მათგან განათლებულ ადამიანებს. ჩვენმა სკოლამ იმ ხნის განმავლობაში, როცა ადამიანები იქ სწავლობენ, ისინი ექსპლოატატორთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეებად უნდა გახადოს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, — რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, — თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას. ვინაიდან თქვენ,

მშვენივრად იცით, რომ სანამ რუსეთი ერთადერთ მუშურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო მთელ დანარჩენ მსოფლიოში ძველი ზურჯუთაზიული წესწყობილება არსებობს, ჩვენ მათზე სუსტნი ვართ; რომ ყოველთვის გვემუქრება ახალი შემოტევა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ ვისწავლით მჭიდროდ შეკავშირებას და ერთსულოვნებას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ შემდგომ ბრძოლაში, და, გავმაგრდებით რა, მართლაც უძლეველნი გავხდებით. ამრიგად, კომუნისტობა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ შეძლებთ თქვენ დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს თქვენთვის, მოვიყვან მაგალითს. ჩვენ კომუნისტებს ვეძახით ჩვენს თავს. რა არის კომუნისტი? კომუნისტი ლათინური სიტყვაა. კომუნის — ნიშნავს საზოგადოს. კომუნისტური საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი საზოგადოა: მიწა, ფაბრიკები, საერთო შრომა, — აი რა არის კომუნისტი.

ხოლო შეიძლება კი შრომა საზოგადო იყოს, თუ თვითეული ადამიანი თავის მეურნეობას განცალკევებულ ნაკვეთ მიწაზე ეწევა? საერთო შრომას ერთბაშად ვერ შექმნი. ეს შეუძლებელია. ეს ციდან არ ვარდება. ეს ჯაფით, ტანჯვით უნდა მოიპოვო, შექმნა. ეს ბრძოლის მსვლელობაში იქმნება. ეს ძველი წიგნი როდია — წიგნს არავინ დაუჯერებდა. აქ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებაა. როდესაც კოლჩაკი და დენიკინი ციმბირიდან და სამხრეთიდან მოდიოდნენ, გლეხები მათ მხარეზე იყვნენ. ბოლშევიზმი მათ არ მოსწონდათ, რადგანაც ბოლშევიკებს პური მტკიცე ფასებში მიაქვთ. ხოლო როცა გლეხებმა ციმბირსა და უკრაინაში გამოსცადეს კოლჩაკისა და დენიკინის ხელისუფლება, მათ შეიგნეს, რომ გლეხს არჩევანი აღარ დარჩენია: ან წადი კაპიტალისტთან და ის მემამულეს მისცემს მონად შენს თავს, ან გაყევი მუშას, რომელიც, მართალია, რძის მდინარეს და თაფლის ნაპირებს არ გპირდება, რომელიც მოითხოვს შენგან რკინისებურ დისციპლინას და

სიმტკიცეს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ განთავისუფლებს შერკაპიტალისტებისა და მემამულეების მონობისაგან. როდესაც შეუგნებელმა გლეხებმაც კი გაიგეს და დაინახეს ეს საკუთარი გამოცდილებით, მაშინ ისინი კომუნიზმის შეგნებული, მძიმე სკოლაგამოვლილი მომხრეები გახდნენ. სწორედ ასეთი გამოცდილება უნდა დაუდვას საფუძვლად მთელ თავის მოღვაწეობას ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა.

მე ვუპასუხე იმ კითხვებზე, თუ რა უნდა ვისწავლოთ, რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან და ძველი მეცნიერებიდან. მე ვეცდები იმ კითხვაზეც ვუპასუხო, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ ეს: მხოლოდ იმით, რომ თვითეული ნაბიჯი ჩვენი მოქმედებისა სკოლაში, აღზრდის, განათლებისა და სწავლის თვითეული ნაბიჯი განუყრელად დაუკავშიროთ ყველა მშრომელის ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან აღებული რამდენიმე მაგალითით მე თქვენ თვალსაჩინოდ დავანახებთ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს კომუნიზმის ეს აღზრდა. ყველა ლაპარაკობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. თქვენ იცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება არ შეიძლება. არ კმარა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძანოს, ან პარტიამ მისცეს განსაზღვრული ლოზუნგი, ან ამ საქმეში ჩავაბათ საუკეთესო მუშაკების განსაზღვრული ნაწილი. ამისათვის საჭიროა, რათა თვით ახალმა თაობამ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. კომუნიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდობამ, იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა, რომელნიც ახალგაზრდობის კავშირში არიან, თქვან: ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ შევერთდებით და წავალთ სოფლად, რომ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, რომ ჩვენს მოზარდ თაობას აღარ ჰყავდეს წერა-კითხვის უცოდინარნიო. ჩვენი მისწრაფებაა, რომ მოზარდი ახალგაზრდობის თვითმოქმედება ამ საქმეს მოხმარდეს. თქვენ იცით, რომ ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთის მოკლე ხანში გადაქცევა წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად შეუძლებელია;



მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს ახალგაზრდობის კავშირი, თუ მთელი ახალგაზრდობა იმუშავებს ყველას სასარგებლოდ, მაშინ ამ კავშირს, რომელიც აერთიანებს 400 000 ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, უფლება აქვს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელი ატაროს. კავშირის ამოცანას ისიც შეადგენს, რომ, შეითვისებს რა ამა თუ იმ ცოდნას, დაეხმაროს იმ ახალგაზრდობას, რომელსაც თვითონ არ შეუძლია განთავისუფლდეს უცოდინარობის სიბნელისაგან. ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს — საქმე ისე წარმართო, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდამხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად. ახალგაზრდა კაცი თუ ქალი. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შეძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას.

მაგალითისათვის აიღეთ საგარეუბნო ბოსტნებში მუშაობა. განა ეს საქმე არ არის? ეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ამოცანაა. ხალხი შიმშილობს, ფაბრიკებსა და ქარხნებში შიმშილია. თავი რომ ვიხსნათ შიმშილისაგან, უნდა გავაშენოთ ბოსტნები, მაგრამ მიწათმოქმედება ძველებურად წარმოებს. და აი საჭიროა, რათა საქმეს ხელი მოჰკიდონ უფრო შეგნებულმა ელემენტებმა, — მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ბოსტნები გადიდდება, მათი ფართობი მოიმატებს, შედეგები გაუმჯობესდება. ამ საქმეში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს. თვითეული კავშირი თუ კავშირის თვითეული უჯრედი ამ საქმეს თავის საქმედ უნდა თვლიდეს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვირვებელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას. კავშირი ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველი მუშა ხედავდეს. მასში ისეთ ადამიანებს, რომელთა სწავლა, შესაძლებელია, მისთვის გაუგებარი იყოს, რომელთა სწავლას მან, შეიძლება, ერთბაშად არც დაუჭეროს, მაგრამ მათი ცოცხალი მუშაობით, მათი მოქ-

მედებით მან უნდა დაინახოს, რომ ესენი მართლა ის ადამიანები არიან, რომლებიც მას სწორ გზას უჩვენებენ.

თუ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა ყველა დარგში ვერ მოახერხა თავისი მუშაობის ასე მოწყობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ფეხი უცდება ძველი, ბურჟუაზიული გზისაკენ. ჩვენი აღზრდა უნდა შეეუერთოთ მშრომელთა ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რათა პირველთ დავებმართოთ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც კომუნისმის მოძღვრებიდან გამომდინარეობენ.

კავშირის წევრებმა თავიანთი ყოველი თავისუფალი საათი უნდა მოახმარონ იმას, რომ გააუმჯობესონ ბოსტანი, ანდა რომელიმე ფაბრიკაში თუ ქარხანაში მოაწყონ ახალგაზრდობის სწავლა და სხვ.. ჩვენ გვინდა რუსეთი ლატაკი და უბადრუკი ქვეყნიდან მდიდარ ქვეყნად გადავაქციოთ. და საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავისი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა და გლეხთა შრომასთან, რომ ის არ ჩაიკეტოს თავის სკოლებში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომუნისტური წიგნებისა და ბროშურების კითხვით. მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები. და საჭიროა ყველამ დაინახოს, რომ ყველა, ვინც კი ახალგაზრდობის კავშირში შედის, მცოდნეა და ამავე დროს მას მუშაობაც შეუძლია. როცა ყველა დაინახავს, რომ ძველი სკოლიდან ჩვენ განვდევნეთ ძველებური წვრთნა, შევცვალებთ რა იგი შეგნებული დისციპლინით, რომ ყოველი ახალგაზრდა ადამიანი მონაწილეობას იღებს შაბათობაში, რომ ისინი იყენებენ თვითთულ საგარეუბნო მეურნეობას მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად, მაშინ ხალხი ისე აღარ შეხედავს შრომას, როგორც მას წინათ უყურებდნენ.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამოცანა ისაა, რომ სოფლად ან თავის უბანში მოაწყოს დახმარება ისეთ საქმეში, — ვიღებ პატარა მაგალითს, — როგორიცაა სისუფთავის დაცვა ან საჭმლის განაწილება. როგორ ხდებოდა ეს ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში? თვითთული მხოლოდ

თავისთვის მუშაობდა, იმას კი არავინ დაეძებდა, არიან თუ არა აქ მოხუცები ან ავადმყოფები, ან შეიძლება მთელი მეურნეობა კისერზე აწევს მარტო ქალს, რომელიც ამის გამო დაბეჩავებულ და დამონებულ მდგომარეობაში იმყოფება. ვინ უნდა ებრძოდეს ამას? ახალგაზრდობის კავშირები, რომლებმაც უნდა თქვან: ჩვენ ამას გადავაკეთებთ, შევქმნით ახალგაზრდათა რაზმებს, რომელნიც სისტემატურად ჩამოივლიან სახლებს და ხელს შეუწყობენ სისუფთავის დაცვას ან საჭმლის განაწილებას, რომელნიც ორგანიზებულად იმოქმედებენ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, წესიერად გაანაწილებენ ძალებს და ყველას დაანახვებენ, რომ შრომა ორგანიზებული შრომა უნდა იყოს.

იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისა არიან, არ შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს თაობა მანამდე გადავახლოო ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, აი ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი. და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა ამ საზოგადოების მშენებლობაა. ძველ საზოგადოებაში შრომა წარმოებდა ცალკეულ ოჯახად, და არავინ არ აერთიანებდა მას, გარდა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომელნიც ხალხის მასებს ჩაგრავენ. ყოველი შრომა, როგორი ჭუჭყიანი და ძნელიც უნდა იყოს იგი, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეული მუშა და გლეხი თავისთვის უყურებდეს ამგვარად: მე ნაწილი ვარ თავისუფალი შრომის დიადი არმიისა და თვითონ შევძლებ მოვაწყო ჩემი ცხოვრება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ, შევძლებ დავამყარო კომუნისტური წესწყობილება. საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი შეგნებულ და დისციპლინიზებულ შრომაში ზრდიდეს ყველას ახალგაზრდობიდანვე. აი რანაირად შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად დასმული ამოცანები გადაწყვეტილ იქნება. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ ცოტა 10 წელი დაგვჭირდება ჩვენი ქვეყნის ელემენტრიფიკაციისათვის, რათა ჩვენს გადატაკებულ

ქვეყანას მომსახურება გაეწიოს ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით. და აი, იმ თაობამ, რომელიც ახლა 15 წლისაა და რომელიც 10 — 20 წლის შემდეგ კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებს, თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას. იმისდაკვალად, რამდენადაც ეს მოხდება თვითეთუ სოფელში, იმისდაკვალად, რამდენადაც განვითარდება კომუნისტური შეჯიბრება, იმისდაკვალად, რამდენადაც ახალგაზრდობა დაამტკიცებს, რომ მას შესწევს თავისი შრომის გაერთიანების უნარი, ამისდაკვალად უზრუნველყოფილი იქნება კომუნისტური მშენებლობის წარმატება. მხოლოდ იმით, რომ თვითეთუ თავის ნაბიჯს ამ მშენებლობის წარმატების თვალსაზრისით შეხედავს, მხოლოდ იმით, რომ მუდამ შეეკითხება თავისთავს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა იმისათვის, რომ გაერთიანებული, შეგნებულ მშრომელები ვიყოთ, მხოლოდ ამით ვაკეთებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იმას, რომ ნახევარ მილიონ თავის წევრს შრომის ერთ არმიად გააერთიანებს და საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

**«პრავდა» №№ 221, 222 და 223; იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა 1920 წ. 5, 6 და 7 ოქტომბერი. ტექსტის მიხედვით, გამოც. მე-4, ტ. 31, გვ. 338 — 360.**

---

## სტატიიდან: «მეზობელი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ»

...კომუნისტების (ისე როგორც საერთოდ იმ რევოლუციონერების, რომლებმაც წარმატებით ჩაატარეს დიდი რევოლუციის დასაწყისი) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში შეცდომა არის ის წარმოდგენა, თითქოს რევოლუცია მარტოდენ რევოლუციონერებს შეუძლიათ მოახდინონ. პირიქით, ყოველგვარი სერიოზული რევოლუციური მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია შევიგნოთ და განვახორციელოთ ის, რომ რევოლუციონერებს შეუძლიათ შეასრულონ როლი მხოლოდ როგორც ნამდვილად ცხოველუნარიანი და მოწინავე კლასის ავანგარდს. ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას უნარი შესწევს არ მოწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას. მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე.

ეს ითქმის მატერიალიზმისა და მარქსიზმის დაცვის იმ მუშაობაზეც, რომელსაც ხელი მოჰკიდა ეურნალმა «პოდ ზნამენემ მარქსიზმამ»<sup>19</sup>. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მთავარ მიმართულებებს, საბედნიეროდ, მტკიცე მატერიალისტური ტრადიცია მოეპოვება. გ. ვ. პლენანოვზე რომ არაფერი

ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ ჩერნიშევსკი, რომლისაგანაც თანამედროვე ნაროდნიკები (სახალხო სოციალისტები, ესერები და სხვ.) ხშირად უკან იხევდნენ მოდურ რეაქციულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა გამოდევნების გამო, მათ თვალს სჭრიდა ევროპული მეცნიერების ვითომდა «უკანასკნელი სიტყვის» ზიზილ-პიპილები და ამ ზიზილ-პიპილების გამო ისინი ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიის წინაშე, მისი ცრურწმენისა და ბურჟუაზიული რეაქციულობის წინაშე ლაქიობის ამა თუ იმ სახესხვაობას.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ჩვენ გვყავს — და, უეჭველია, ჯერ კიდევ დიდხანს გვეყოლებიან — მატერიალისტები არაკომუნისტთა ბანაკიდან, და ჩვენი უცილობელი მოვალეობაა ეგრეთწოდებული «განათლებული საზოგადოების» ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩავაბათ თანამიმდევრული და მებრძოლი მატერიალიზმის ყველა მომხრე. დიცგენმა-მამამ<sup>20</sup>, რომელიც არ უნდა ავურიოთ მის იმდენადვე პრეტენზიულ, რამდენადაც უხეირო ლიტერატორ-ვაჟი-შვილში, სწორად, მკვეთრად და ნათლად გამოხატა მარქსიზმის ძირითადი თვალსაზრისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებულ და მათ მეცნიერთა და პუბლიცისტთა შორის მიღებულ ფილოსოფიურ მიმართულებებზე, როცა თქვა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ფილოსოფიის პროფესორები უმეტეს შემთხვევაში ნამდვილად წარმოადგენენ «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» და მეტს არაფერსო.

ჩვენს, რუსეთის, ინტელიგენტებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი მოწინავეობით, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის მათ მოძმეებსაც, ძალიან არ უყვართ საკითხის გადატანა იმ შეფასების ნიადაგზე, რომელიც მოცემულია დიცგენის სიტყვებით. მაგრამ მათ ეს იმიტომ არ უყვართ, რომ სიმართლე თვალსა სჭრიოთ. საკმარისია ოდნავ მაინც ჩავუფიქრდეთ, თუ როგორ არიან დამოკიდებული თანამედროვე განათლებული ადამიანები გაბატონებული ბურჟუაზიისაგან სახელმწიფოებრივი, შემდეგ საერთო-ეკონომიური, შემდეგ

საყოფაცხოვრებო და ყოველგვარი სხვა მხრივ, რომ გავიგოთ დიკენის მკაცრი დახასიათების აბსოლუტური სისწორე. საკმარისია გავიხსენოთ დიდი უმეტესობა მოდური ფილოსოფიური მიმართულებებისა, რომელნიც ასე ხშირად ჩნდებიან ევროპულ ქვეყნებში, დაწყებული, თუგინდ, იმ მიმართულებებით, რომელნიც რადიუმის აღმოჩენასთან იყვნენ დაკავშირებული, და გათავებული იმ მიმართულებებით, რომელნიც ახლა ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ ეინშტეინს, — რომ წარმოვიდგინოთ კავშირი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ პოზიციას შორის, მის მიერ რელიგიის ყოველგვარი ფორმის მხარისდაჭერასა და მოდურ ფილოსოფიურ მიმართულებათა იდეურ შინაარსს შორის.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, მებრძოლი ორგანო უნდა იყოს, ჯერ ერთი, «ხეცობის» ყველა თანამედროვე «დიპლომანი ლაქის» ურყევი მხილებისა და დევნის აზრით, სულ ერთია, ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები არიან ისინი თუ მოხალისე მსროლელნი, რომელნიც «დემოკრატიულ მემარცხენეებს თუ იდეურ-სოციალისტ» პუბლიცისტებს უწოდებენ თავიანთ თავს.

მეორე, ასეთი ჟურნალი უნდა იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო. ჩვენ გვაქვს უწყებები ან, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ. მაგრამ ეს მუშაობა ფრიად მოდუნებულად, ფრიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, განიცდის რა, როგორც ჩანს, ჩვენი ჭეშმარიტად რუსული (თუმცა საბჭოური) ბიუროკრატიზმის საერთო პირობების სიმძიმეს. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესავსებად, მის შესასწორებლად და გამოსაცოცხლებლად, ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდასა და ბრძოლას ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნიდეს ან, ყოველ შემთხვევაში,

ყველაფერ იმის შინაარსს გადმოსცემდეს, რაც კი ამ სფერო-ში საგულისხმო რამ არის.

ენგელსი დიდი ხანია ურჩევდა თანამედროვე პროლეტარიატის ხელმძღვანელებს — ეთარგმნათ და ხალხში მასობრივად გაეცვრცელებინათ XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურა. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს აქამდე არ გავციკეთებია (მრავალთაგან ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ რევოლუციურ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ძალაუფლების სწორად გამოყენება). ხანდახან ამ ჩვენს მოდუნებულობას, უმოქმედობასა და უუნარობას ყოველგვარი «მაღალფარდოვანი» მოსაზრებებით ამართლებენ: მაგალითად, ამბობენ, XVIII საუკუნის ძველი ათეისტური ლიტერატურა მოძველდა, არამეცნიერულია, გულუბრყვილოა და სხვ.. არა არის რა ამ, ვითომდა მეცნიერულ, სოფიზმებზე უარესი, რომლებითაც ან პედანტობა იფარება, ანდა მარქსიზმის სრული გაუგებლობა. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ მოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც. მაგრამ ამ თხზულებათა გამომცემლებს არავინ უშლის ხელს შეამოკლონ ისინი, დაურთონ მოკლე ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ რელიგიის მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან, მიუთითონ სათანადო უახლესი თხზულებანი და სხვა. მარქსისტიკისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უადრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მიუვდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვალვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან,



შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ.

XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი პუბლიცისტიკა, რომელიც მახვილგონივრულად და აშკარად ესხმის თავს გაბატონებულ ხუცობას, ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვალდვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამახინჯებენ მარქსიზმს. მარქსისა და ენგელსის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენში უკვე გადმოთარგმნილია. იმის შიში, რომ ძველი ათეიზმი და ძველი მატერიალიზმი ჩვენში შეუვსებელი დარჩება იმ შესწორებებით, რაც მასში მარქსმა და ენგელსმა შეიტანეს, სრულიად უსაფუძვლოა. ყველაზე მნიშვნელოვანი — და ყველაზე ხშირად სწორედ ამას იფიწყებენ ჩვენი ვითომდა მარქსისტი, ნამდვილად კი მარქსიზმის დამამახინჯებელი კომუნისტები — ეს არის შევძლოთ დავაინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად მიუღგნენ რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები.

მეორე მხრივ, შეხედეთ რელიგიათა თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენლებს. განათლებული ბურჟუაზიის ეს წარმომადგენლები რელიგიური ცრურწმენის თავიანთივე საკუთარ უარყოფას თითქმის ყოველთვის ისეთს მსჯელობებს «დაურთავენ» ხოლმე, რაც მყისვე ამჟღავნებს მათ როგორც ბურჟუაზიის იდეურ მონებს, როგორც «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს».

ორი მაგალითი. 1918 წელს პროფ. რ. ი. ვიპერმა გამოსცა წიგნი: «ქრისტიანობის წარმოშობა» («ფაროსის» გამოც. მოსკოვი). ავტორი გადმოსცემს თანამედროვე მეცნიერების მთავარ მიღწევებს და არათუ არ ებრძვის იმ ცრურწმენას და ტყუილს, რაც ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზა-

ციის, იარაღს შეადგენს, არათუ გვერდს უვლის ამ საკითხებს, არამედ პირდაპირ სასაცილო და ფრიად რეაქციულ პრეტენზიასაც კი აცხადებს: ორივე «უკიდურესობაზე» — იდეალისტურსა და მატერიალისტურზე — მალლა უნდა დავდგეთ. ეს არის მლიქვნელობა გაბატონებულ ბურჟუაზიის წინაშე, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა ექსპლოატაციით გამოწვავილი მოგებიდან ასეულ მილიონობით მანეთს ხარჯავს რელიგიის დასახმარებლად.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, არტურ დრევისი, რომელიც თავის წიგნში: «მითი ქრისტეს შესახებ» აბათილებს რელიგიურ ცრურწმენას და ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ იყო, წიგნის ბოლოში მანაც მხარს უჭერს რელიგიას, ოღონდ განაზღებულს, განწმენდილს, გაქნილს, ისეთს, რომელსაც უნარი ექნება შეებრძოლოს «დღითი დღე სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ნატურალისტურ ნიაღვარს» (იხ. მე-4 გერმანული გამოცემის 238-ე გვ., 1910 წ.). ეს უკვე წმინდა წყლის, შეგნებული რეაქციონერია, რომელიც აშკარად ეხმარება ექსპლოატატორებს ძველი და დამყაყბული რელიგიური ცრურწმენა ახალი, უფრო მეტად საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენით შესცვალონ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იყო დრევისის გადმოთარგმნა. ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებმა და ყველა თანამიმდევარმა მატერიალისტმა, რომლებიც ერთგვარად უკავშირდებიან ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილს, განუხრელად უნდა ამხილონ ბურჟუაზიის ეს პროგრესული ნაწილი, როცა იგი რეაქციულობაში ვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო XVIII საუკუნის, ე. ი. იმ ეპოქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან კავშირს, როცა იგი რევოლუციური იყო, ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმისა და მატერიალიზმის მიმართ, რადგან დრევისებთან ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ ზომით «კავშირის» დაჭერა გაბატონებული რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენთვის სავალდებულოა.

ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმამ», რომელსაც სურს

მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ათეისტურ პროპაგანდას, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვასა და ამ სფეროში ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნებისა და ბროშურების გამოყენება, რომელნიც მრავალ ისეთ კონკრეტულ ფაქტსა და დაპირისპირებას შეიცავენ, რაც ცხადყოფს თანამედროვე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციების კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციებთან.

მეტისმეტად საყურადღებოა ყველა ის მასალა, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხება, სადაც ნაკლებად იჩენს თავს რელიგიისა და კაპიტალის ოფიციალური, კაზინო-ნური, სახელმწიფოებრივი კავშირი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება, რომ ეგრეთწოდებული «თანამედროვე დემოკრატია» (რომლის წინაშე ასე უგუნურად შუბლს იხეთქენ მენშევიკები, ესერები, ნაწილობრივ ანარქისტები და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, ხოლო მისთვის ხელსაყრელია იქადაგოს ყველაზე რეაქციული იდეები, რელიგია, ბნელეთის მოციქულობა, ექსპლოატატორების დაცვა და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, ჩვენს მკითხველს საზოგადოებას მიაწვდის ათეისტური ლიტერატურის მიმოხილვას და დახასიათებას, თუ მკითხველთა რომელი წრისათვის და რა მხრივ არის შესაფერისი ესა თუ ის ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ რა არის გამოცემული (გამოცემულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ხეირიანი თარგმანები, ასეთები კი არც-თუ იმდენად ბევრია) და რა უნდა გამოიცეს კიდევ.

გარდა კავშირისა თანამიმდევარ მატერიალისტებთან, რომლებიც კომუნისტების პარტიას არ ეკუთვნიან, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ მუშაობისათვის, რაც

მებრძოლმა მატერიალიზმმა უნდა შეასრულოს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების იმ წარმომადგენლებთან კავშირს, რომელნიც მატერიალიზმისაკენ იხრებიან და არ ეშინიათ დაიცვან და იქადაგონ იგი ეგრეთწოდებულ «განათლებულ საზოგადოებაში» გაბატონებულ იდეალიზმისა და სექსპტიციზმისაკენ მოდურ ფილოსოფიურ მერყეობათა წინააღმდეგ.

ეჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს 1 — 2 ნომერში მოთავსებული ა. ტიმირიაზევის სტატია ეინშტეინის რელატივიზმის თეორიის შესახებ იმედს იძლევა, რომ ეჟურნალი ამ მეორე კავშირის განხორციელებასაც შეძლებს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის მძაფრი მსხვერვეა, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ძალიან ხშირად წარმოშობს ხოლმე რეაქციულ ფილოსოფიურ სკოლებს და პაწია სკოლებს, მიმართულებებს და პაწია მიმართულებებს. ამიტომ თვალყურის დევნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც უახლესი რევოლუცია ბუნებისმეტყველების სფეროში აყენებს, და ფილოსოფიურ ეჟურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბმა, — ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად მებრძოლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მებრძოლი, ვერც მატერიალიზმი. თუ ტიმირიაზევი ეჟურნალის პირველ ნომერში იძულებული იყო აღენიშნა, რომ თუმცა თეორიას ეინშტეინისა, — რომელიც, ტიმირიაზევის თქმით, თვითონ მატერიალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ არავითარ აქტიურ ლაშქრობას არ ეწევა — უკვე ხელი ჩასჭიდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უდიდესმა მასამ, — ეს შეეხება არა მარტო ეინშტეინს, არამედ ბუნებისმეტყველების მთელ რიგ დიდ გარდამქმნელთ, თუ მათ უმრავლესობას არა, დაწყებული XIX საუკუნის დამლევდიან.

და იმისათვის, რომ ასეთ მოვლენას შეუგნებლად არ მოვეპყრათ, უნდა გავიგოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას

ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ს თანამშრომლებმა უნდა მოაწყონ ჰეგელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. იმ დიალექტიკისა, რომელსაც მარქსი პრაქტიკულად იყენებდა როგორც თავის «კაპიტალში», ისე თავის ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში და იყენებდა ისეთი წარმატებით, რომ ახლა აღმოსავლეთში (იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი) ცხოვრებისა და ბრძოლისათვის ახალი კლასების გამოღვიძების ყოველი დღე — ე. ი. გამოღვიძება კაცობრიობის იმ ასეული მილიონებისა, რომელნიც დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ და რომელნიც დღემდე თავიანთი ისტორიული უმოქმედობითა და ისტორიული ძილით განაპირობებდნენ დამყაყებულობასა და ლობას ევროპის მრავალ მოწინავე სახელმწიფოში, — ცხოვრებისათვის ახალ ხალხთა და/ახალი კლასების გამოღვიძების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ადასტურებს მარქსიზმს.

რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი გაგება და ასეთი პროპაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უეჭველია, ამ მხრივ პირველი ცდა უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. იმაზე დამყარებით, თუ როგორ იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და კიდევ უნდა დავამუშავოთ ეს დიალექტიკა ყოველი მხრივ, დავბეჭდოთ ჟურნალში ნაწყვეტები ჰეგელის უმთავრესი თხზულებებიდან, მატერიალისტურად განვმარტოთ ისინი, კომენტარები გავუკეთოთ დიალექტიკის მარქსისტური გამოყენების ნიმუშებით, აგრეთვე ეკონომიური, პოლიტიკური

ურთიერთობის სფეროში დიალექტიკის იმ ნიმუშებით, რომელთაც უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია, მეტისმეტად ბევრს იძლევიან. ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს რედაქტორთა და თანამშრომელთა ჯგუფი, ჩემი შეხედულებით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ «პეგელის დიალექტიკის მატერიალისტი მეგობრების საზოგადოებას». თანამედროვე ბუნებისმეტყველნი პეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკაში ჰპოვებენ (თუ შეძლებენ ძებნას და თუ ჩვენც ვისწავლით მათდამი დახმარებას) მთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და რომლებზედაც «ფეხი უსხლტებათ» რეაქციისაკენ ბურჟუაზიული მოდის ინტელიგენტ თაყვანისმცემლებს.

თუ ასეთი ამოცანა არ დავისახეთ და იგი სისტემატურად არ შევასრულებთ, მატერიალიზმი ვერ იქნება მებრძოლი მატერიალიზმი. იგი დარჩება, შჩედრინის გამოთქმა რომ ვიხმართ, არა იმდენად მებრძოლი, რამდენადაც ბრძოლაში დამარცხებული. უამისოდ დიდი ბუნებისმეტყველნი ისევე ხშირად, როგორც აქამდე, უმწეონი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებებში. ვინაიდან ბუნებისმეტყველება ისე სწრაფად მიდის წინ, ყველა სფეროში ისეთი ღრმა რევოლუციური მსხვერვის პერიოდს განიცდის, რომ ბუნებისმეტყველება ფილოსოფიურ დასკვნებს ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის.

დასასრულ მოვიყვან მაგალითს, რომელიც ფილოსოფიის სფეროს არ ეკუთვნის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეხება საზოგადოებრივი საკითხების სფეროს, რომელთაღმი ყურადღების მიქცევაც აგრეთვე სურს ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმას».

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ სინამდვილეში როგორ ემსახურება თანამედროვე ვითომდა მეცნიერება ფრიად უხეშ და უსაზიზღრეს რეაქციულ შეხედულებათა გატარებას.

ამას წინათ გამომიგზავნეს ჟურნალი «ეკონომისტი» № 1

(1922 წ.)<sup>21</sup>, რომელსაც «რუსეთის ტექნიკური საზოგადოების» XI განყოფილება სცემს. ამ ჟურნალის გამომგზავნმა ახალგაზრდა კომუნისტმა (რომელსაც, ალბათ, დრო არა ჰქონდა ჟურნალის შინაარსს გაცნობოდა) მოუფიქრებლად ეს ჟურნალი ფრიად დიდი თანაგრძნობით მოიხსენია. ნამდვილად კი, არ ვიცი რამდენად შეგნებულად, ეს ჟურნალი წარმოადგენს იმ თანამედროვე მებატონეთა ორგანოს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მეცნიერულობის, დემოკრატიზმისა და სხვ. სამოსში ეხვევიან.

ვინმე ბ-ხი პ. ა. სოროკინი ამ ჟურნალში ათავსებს ვრცელ ვითომდა «სოციოლოგიურ» გამოკვლევებს «ომის გავლენის შესახებ». მეცნიერული სტატია აჭრელებულია მეცნიერული მითითებებით ავტორისა და მისი მრავალრიცხოვანი უცხოელი მასწავლებლისა და ამხანაგის «სოციოლოგიურ» შრომებზე. აი როგორია მისი მეცნიერულობა:

83-ე გვერდზე ვკითხულობთ:

«პეტროგრადში ახლა 10 000 ქორწინებაზე მოდის 92,2 განქორწინება — ფანტასტიკური ციფრია, ამასთანავე 100 განქორწინებიდან 51,1 ქორწინება იყო ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლიობისა, 11% — ერთ თვეზე ნაკლებისა, 22% — ორ თვეზე ნაკლებისა, 41% — 3 — 6 თვეზე ნაკლებისა და მხოლოდ 26% იყო 6 თვეზე მეტი ხანგრძლიობისა. ეს ციფრები იმას მეტყველებენ, რომ თანამედროვე ლეგალური ქორწინება — ფორმაა, რომელიც არსებითად ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობას ჰფარავს და «მარწყვის» მოყვარულთ საშუალებას აძლევს «კანონიერად» დაიკმაყოფილონ თავიანთი მალა» («ეკონომისტი» №1, გვ. 83).

ეჭვი არ არის, რომ ეს ვაჟბატონიც და რუსეთის ის ტექნიკური საზოგადოებაც, რომელიც ჟურნალს სცემს და შიგ მსგავს ლათაიებს ათავსებს, თავიანთ თავს დემოკრატიის მომხრედ თვლიან და უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევენ, როცა მათ ნამდვილ სახელს. ე. ი. მებატონეებს, რეაქციონერებს, «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» უწოდებენ.

ქორწინების, განქორწინებისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ ბურჟუაზიული ქვეყნების

კანონმდებლობის სულ მცირეოდენი გაცნობა, აგრეთვე ამ მხრივ საქმის ფაქტიური მდგომარეობის გაცნობა, ცხადყოფს ამ საკითხით დაინტერესებული ყოველი ადამიანისთვის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია, თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი, ამ მხრივ ქალისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთადმი სწორედ ბატონყმურ დამოკიდებულებას იჩენს.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტთა ნაწილს და დასავლეთ ევროპის ყველა სათანადო პარტიას განაგრძონ ყვარილი დემოკრატიაზე და ბოლშევიკების მიერ მის დარღვევაზე. ნამდვილად კი სწორედ ბოლშევიკური რევოლუციაა ერთადერთი თანამიმდევრულ-დემოკრატიული რევოლუცია ისეთი საკითხების მიმართ, როგორცაა ქორწინება, განქორწინება და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტის ინტერესებს ეხება უშუალოდ. პირველად მხოლოდ ბოლშევიკურმა რევოლუციამ, მიუხედავად მისი წინამორბედი მრავალი ბურჟუაზიული რევოლუციისა, თავის თავს დემოკრატიულს რომ უწოდებდა, — ჩაატარა გადაწყვეტი ბრძოლა ამ მხრივ, როგორც რეაქციულობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ისე მმართველ და შეძლებულ კლასთა ჩვეულებრივი ფარისევლობის წინააღმდეგ.

თუ ბ-ნ სოროკინს 10 000 ქორწინებაზე 92 განქორწინება ფანტასტიკურ ციფრად ეჩვენება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან ავტორი რომელიმე ისეთს კარჩაკეტილ მონასტერში ცხოვრობდა და იზრდებოდა, რომ მსგავსი მონასტრის არსებობა საეჭვოა ვინმემ დაიჯეროს, ანდა ეს ავტორი რეაქციისა და ბურჟუაზიის საამებლად სიმართლეს ამახინჯებს. ყოველმა ადამიანმა, ვინც კი რამდენადმე მაინც იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების საზოგადოებრივ პირობებს, იცის, რომ ფაქტიურ განქორწინებათა (რა თქმა უნდა, ეკლესიისა და კანონის მიერ დაუდასტურებელთა) ფაქტიური რიცხვი ყველგან განუზომლად უფრო მეტია. რუსეთი ამ მხრივ სხვა ქვეყნებისაგან მხო-



ლოდ იმით განირჩევა, რომ მისი კანონები პატივით კი არ მოსავენ ფარისევლობასა და ქალის და მისი ბავშვის უუფლებო მდგომარეობას, არამედ აშკარად და სახელმწიფო ხელისუფლების სახელით სისტემატურ ომს უცხადებენ ყოველგვარ ფარისევლობასა და ყოველგვარ უუფლებობას.

მარქსისტულ ეურნალს მოუხდება ომის წარმოება ამგვარ თანამედროვე «განათლებულ» მებატონეთა წინააღმდეგაც. ალბათ, მათი არც ისე მცირე ნაწილი ჩვენში სახელმწიფო ფულსაც კი იღებს და სახელმწიფო სამსახურშიც ირიცხება ახალგაზრდობის გასანათლებლად, თუმცა ამ მიზნისათვის ისინი გამოსადეგნი არიან იმდენადვე, რამდენადაც აშკარა გამბრწუნელნი გამოდგებოდნენ მცირეწლოვანთა სასწავლებლებში ზედამხედველთა როლისათვის.

რუსეთში მუშათა კლასმა შეძლო ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ მისი გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მსგავს მასწავლებლებს და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრებს დიდი ხანია ზრდილობიანად გაისტუმრებდა ბურჟუაზიული «დემოკრატიის» ქვეყნებში. ასეთი მებატონეებისთვის სწორედ იქ არის შესაფერისი ადგილი.

ისწავლის, ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა.

1922. 12. III.

«პოდ ზნამენემ მარკსიზმა» № 3,  
1922 წ. მარტი.

იბეჭდება  
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის  
მიხედვით, გამოც. მე-4, ტ. 33,  
გვ. 262 — 275.

## შენიშვნები

1 იხ. ფ. ენგელსი. «ემიგრანტული ლიტერატურა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 227 — 228) — 10.

2 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); სხვა სათაურით გამოდიოდა 1918 წლის აგვისტომდე. — 14.

3 იგულისხმება ფ. ენგელსის ნაშრომი: «ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული» (1888). — 21.

4 იხ. კ. მარქსი. «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. 1, 1938 წ. გვ. 385). — 21.

5 იხ. ფ. ენგელსი. «ემიგრანტული ლიტერატურა. II. კომუნის ბლანკისტ ემიგრანტების პროგრამა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935 წ. გვ. 224 — 230). — 22.

6 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1953 წ. გვ. 299 — 301. — 22.

7 ე რ ფ უ რ ტ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, რომელიც მიღებული იყო ერფრუტის ყრილობაზე 1891 წლის ოქტომბერში. — 22.

8 იგულისხმება ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ბროშურისათვის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, 1952 წ. გვ. 439). — 23.

9 დ ვ თ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა — მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა; წარმოიშვა სტოლიპინის რეაქციის პერიოდში 1905 — 1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ მარქსიზმისაგან განდგომილი პარტიული ინტელიგენტების ერთ ნაწილში.

ლეთისმშენებლები (ლუნაჩარსკი, ბაზაროვი და სხვ.) ქადაგებდნენ ახალი, «სოციალისტური» რელიგიის შექმნას და ცდილობდნენ მარქსიზმი შეერივებინათ რელიგიასთან. ერთ დროს მათ ემხრობოდა მ. გორკიც. «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაჰკვმო ლეთისმშენებლობა და საგანგებო რეზოლუციაში განაცხადა, ბოლშევიკურ ფრაქციას არაფერი არა აქვს საერთო «მეცნიერული სოციალიზმის ამგვარ დამახინჯებასთან».

ლეთისმშენებლობის რეაქციული დედაარსი გამააჟსკარავა ლენინმა ნაშრომში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (იხ. თხზულებანი, მეოთხე გამოცემა. ტ. 14) და წერილებში გორკის მიმართ 1908 წლის თებერვალ—აპრილისა და 1913 წლის ნოემბერ—დეკემბრის თარიღით. — 30.

**10 «ე ვ ხ ი»** — კადეტური კრებული, გამოვიდა მოსკოვში 1909 წელს კონტრარევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელთა სტატიებით. თავიანთ სტატიებში რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების (ბელინსკისა და ჩერნიშევსკის) რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის, ლანძღავდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მოუწოდებდნენ ინტელიგენციას ჩამდგარიყვნენ თვითმპყრობელობის სამსახურში. ლენინი კრებულ «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლიბერალური რენეგატობის ენციკლოპედია». «დემოკრატიაზე გადმოღვრილი რეაქციული წუმბის მთლიან ღვარს». — 31.

**11 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი»** — არალეგალური გაზეთი, რომელიც დაარსებულ იქნა ბოლშევიკების მიერ პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით და წარმოდგენდა ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს. გაზეთში გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. — 34.

**12 იგულისხმება მეფის მთავრობის მიერ 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოცემალი მანიფესტი. — 40.**

**13 «გ ო ლ ო ს მ ო ს კ ე ი»** — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტების — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეების კონტრარევოლუციური პარტიის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლიდან 1915 წლამდე. — 41.

**14 ლაპარაკია იმაზე, რომ ა. მ. გორკიმ პრესაში პროტესტი განაცხადა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ თ. მ. დოსტოევსკის რეაქციული რომანის «Бесы»-ს ინსცენირების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულმა პრესამ დოსტოევსკის პიესა დაიცვა. — 47.**

15 «რუსსკაია მისლ» — ყოველთვიური ჟურნალი ლიბერალურ-პუტრეჟაზიული მიმართულებისა; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ლენინმა ამ პერიოდში «რუსსკაია მისლს» «ჩერნოსოტენაია მისლი» უწოდა. ჟურნალი დაიხურა 1918 წლის შუა ხაზებში. — 50.

16 «ვპერიოდელეზ» («ვპერიოდის» ჯგუფი) — ოტზოვისტთა, ულტიმატისტთა, ღვთისმშენებელთა და ეპიპრიომონისტთა ჯგუფი; ჩამოყალიბდა 1909 წლის დეკემბერში ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის ინიციატივით. რადგან ჯგუფს მუშები მხარს არ უჭერდნენ, იგი ფაქტურად ჯერ კიდევ 1913 წელს დაიშალა. საბოლოო და ფორმალური დაშლა ჯგუფისა მოხდა 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ. — 52.

17 მუშა-ქალთა სრულიად რუსეთის I ყრილობა, მოწვეული რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, შედგა მოსკოვში 1918 წლის 16 — 21 ნოემბერს. ყრილობას ესწრებოდა ფაბრიკების, ქარხნების და სოფლის ღარიბთა 1147 დელეგატი ქალი. — 56.

18 რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის I-II ყრილობა მიმდინარეობდა 1920 წლის 2 — 10 ოქტომბერს მოსკოვში, ყრილობას ესწრებოდა 600-მდე დელეგატი. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა ყრილობის პირველ სხდომაზე, 2 ოქტომბერს საღამოს. — 61.

19 «პოდზნამენემ მარკსიზმა» — ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1922 წლის იანვრიდან 1944 წლის ივნისამდე. — 84.

20 იგულისხმება იოსებ დიცგენი (1828 — 1888) — პროფესიით მეტყავე, თვითნასწავლი, მუშა-ფილოსოფოსი, ენგელსის მეგობარი. ერთ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. ამერიკაში გადასვლის შემდეგ, როგორც სოციალ-დემოკრატი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოციალისტურ მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ დიცგენის ფილოსოფიურ შეხედულებებში მოიპოვება ზოგიერთი უხეირო დებულება, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ მის შრომებს. დიცგენის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ ენაზე. — 86.

21 «ეკონომისტ» — რუსეთის ტექნიკური საზოგადოების სამრეწველო-ეკონომიური განყოფილების ჟურნალი; გამოდიოდა პეტროგრადში 1921 წლიდან 1922 წლამდე. — 84.

## შინაარსი

წინასიტყვაობა	3
სოციალიზმი და რელიგია	6
ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე	13
მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი	20
კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი	35
ა. მ. გორკის	47
ა. მ. გორკის	52
სიტყვა მუშა-ქალთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 19 ნოემბერს	56
«რკპ(ბ) პროგრამის პროექტიდან»	60
პროგრამის მუხლი რელიგიური ურთიერთობის დარგში	60
ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები (სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერი	61
სტატიიდან: «მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ»	81
შენიშვნები	97



ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-1955. უე 03934. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6,25. ტირაჟი 10 000. შეკვეთის № 281.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 1

**В. И. ЛЕНИН**  
**О РЕЛИГИИ**

---

(На грузинском языке)  
Госиздат Грузинской ССР  
Тбилиси 1955